კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 22 (18564) ხუთშაბათი, 27 იანვარი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

თეთრი წყაროს სახელმწიფო ჯიშიანი მეფრინველეობის ფაბრიკის დიდპროდუქტიული ფრინველის ჯიშიანი კვერცხით უზრუნველყოფენ ახმეტის, მცხეთის, გარდაბნისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების ფაბრიკები. ჯიშთსანაშენეს 25 საფრინველეში ახლა 88 ათასზე მეტი ფრინველია, გეგმით გათვალისწინებული 60 ათასის ნაცვლად. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ყველა სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი: მოქცეულთა სულადობამ 20 ათასს გადააჭარბა, სახელმწიფოს მიჰყიდეს 250 ტონა ხორცი, ხაგეგმო 230 ტონის ნაცვლად და სამ მილიონ ცალზე მეტი კვერცხი, 2,8 მილიონის ნაცვლად. გაიზარდა მეკვერცხულობა.

თეთრი წყაროს მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ხუთწლედის შუაგული წლისთვის იკისრა გადიდებულად სოციალისტური ვალდებულება.

● ●

სურათზე: მოწინავე მეფრინველე ელენე სავიდი.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოკრონიკა).

ანგარიშს აბარებენ სახალხო კონტროლიორები

ბახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები კამპანია იწყება. როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე საქართველოში თებერვალ-აპრილში სანარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, ორგანიზაციების სახალხო კონტროლის კომიტეტებში ჯგუფებსა და საგუშაოებში გაიმართება ანგარიშგება-არჩევნები.

ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიიღო დადგენილება, რომელშიც უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე სახალხო კონტროლის ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების მაღალ იდეურ და ორგანიზატორულ დონეზე წარმართვისათვის, ჯგუფებისა და საგუშაოების მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის, საკონტროლო საქმიანობის გაუმჯობესებისა და ქმედითობის ამაღლებისათვის. ახლა მთავარია მთელი ენერგიით, მონდომებითა და ორგანიზებულობით ვიმუშაოთ, რათა უზრუნველყოთ ამ დადგენილების წარმატებით შესრულება, მისი განუხრელი განხორციელება.

სახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები წელს უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის ვითარებაში გაიმართება. ჩვენს ქვეყანაში დიდი შემოქმედებითი მოძრაობა გაჩაღებული პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის მუშაობას. ამ მხრივ დიდად საყურადღებოა თებილისელ ავიამშენებელთა შესანიშნავი ინიციატივა, რომლითაც საქართველოში ფართო გზა მიეცა ახალ, პროგრესულ მოძრაობას სოციალისტური დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცებისათვის.

სწორედ ამ სახალხო საქმეში განუზომელია სახალხო კონტროლის ორგანოების როლი და მნიშვნელობა. ეს ნათლად და კარგად ითქვა დიმიტროველთა კრებაზე, სადაც აღინიშნა, რომ სხვა ორგანოებთან ერთად დიდი ამოცანები აკისრიათ სახალხო კონტროლისა და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებს. ისინი ვალდებულნი არიან კონტროლისა და შესრულების შემოწმების პირველ რიგებში იდგნენ. სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები, საგუშაოები სისტემატურად ამოწმებენ, თუ როგორ სრულდება სახელმწიფო დავალებები, გეგმები, როგორ იღებენან სანარმოთა და დანესებულებათა ადმინისტრაციები, სიერთოდ შრომითი კოლექტივები ნარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, სახელმნიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის.

ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში თავიანთი ღირსეული წვლილი სახალხო კონტროლის ორგანოებსაც შეაქვთ. ჟეშმარიტად მნიშვნელოვანია ამ ორგანოთა ნამოეკანური იმ სახელოვან წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. მარტო ის რად ღირს, რომ ბასლი წლის შედეგები მიხედვით საქართველოს მეათედ გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რაშიც, ცხადია, სახალხო კონტროლის ორგანოებსაც მიუძღვით წვლილი.

დიახაც, რომ საამაყოა ყოველივე ეს.

თავისთავად სასიამოვნოა, რომ სახალხო კონტროლის ორგანოები კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობას, აღრმავებენ და სრულყოფენ შემოწმებისა და კონტროლის მეთოდებს, იბრძვიან ნეგატიურ მოვლენათა გამოვლენისა და აღმოფხვრისათვის, სახალხო კონტროლის როგორც რესპუბლიკური, ასევე ადგილობრივი ორგანოები სისტემატურად ამოწმებენ, თუ როგორ სრულდება სახელმნიფო დავალებები, ზემდგომი ორგანოების დადგენილებები; აქტიურად მუშაობენ საწარმოო გეგმების შესრულებაში ხელშემშლელი პირობების აღმოფხვრისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მათ მიერ მოწყობილ რეიდთა, შემოწმებათა, დათვალიერებათა შედეგად რესპუბლიკაში დაიზოგა დიდძალი ელექტროენერგია, სამბობი, ლითონები, ხეტყე, გამოვლინდა მრეწველობაში, მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაში, მომსახურების სფეროს დარგებში არსებული ნაკლოვანებანი. სახალხო კონტროლიორთა აქტიურობამ გამოააშკარავა ზარშან მილითონობით მანეთზე მეტი გაფლანგვის, დაბაცების, სახსრების უყაირათო სარჯვის და სხვა ფაქტები.

ცხადია, ასეთი მუშაობით სახალხო კონტროლიორები მნიშვნელოვნად უნყობენ ხელს ჩვენი სახალხო მეურნეობის მშრომელებს ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებაში. ამ მხრივ გამოირჩევა თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი, დიმიტროვის სახელობის საავიაციო, კიროვის სახელობის ჩარხთსაშენებელი, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის სავეტომობილო და სხვა ქარხნების, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ფოთის, ჭიათურის, თელავის, ზუგდიდის, საგარეჯოს, მახარაძის, თერჯოლის და სხვა რაიონებისა და ქალაქების სანარმოთა და კოლმეურნეობათა სახალხო კონტროლის ჯგუფები.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის სანარმო-დანესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სახალხო კონტროლის 17.827 ჯგუფი და 15.794 საგუშაგოა, რომლებშიც გაერთიანებულია 247.844-ზე მეტი სახალხო კონტროლიორი.

ეს ხომ ნამდვილად უდიდესი ძალაა იმისათვის, რომ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მტკიცე კონტროლი დაუწესდეს სახალხო მეურნეობის იმ უბნებს, სადაც წყდება სახელმნიფო გეგმების ბედი, ხალხის კეთილდღეობისათვის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები. და სწორედ ამიტომ საჭიროა რომ ჯგუფებსა და საგუშაგოებში ავარჩიოთ კომპეტენტური, საქმიანი, პატიოსანი, ავტორიტეტიანი ადამიანები, რომლებსაც პატივს სცემენ კოლექტივში, სჯერათ მათი სიტყვა და მისაბაძად მიაჩნიათ მათი საქმიანობა.

სახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების წარმატებით მოწყობისათვის ბევრი რამ გაკეთდა. სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეიმუშავა ორგანიზაციული ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომლის მიხედვით წარმართება საარჩევნო კომპანია. ადგილებზე კარგად ხანია შეიქმნა კრებების განრიგები, რომელთა მუშაობაში მოწაწილეობას მიიღებენ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების წევრები, საბჭოთა, სამეურნეო, სახალხო კონტროლის ორგანოთა ხელმძღვანელი მუშაკები. ცხადია, მათ დიდი და სერიოზული მოვალეობა აკისრიათ — თავიანთი აქტიური მოქმედებით ხელი უნდა შეუწყონ ანგარიშგება-არჩევნებისადმი მიძღვნილი კრებების სანიმუშოდ წარმართვას, ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ მშრომელთა კოლექტივების კრებებზე გაიმართოს გულახდილი სჯა-ბაასი, ფართოდ გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა. კრებებზე ჯანსაღ კამათსა და კრიტიკულ გამოსვლებს ტონი უნდა მისცენ ადმინისტრაციისა და პარტიული ბიუროების ხელმძღვანელმა მუშაკებმა. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ანგარიშგება-არჩევნები მიმდინარეობდეს აქტიურად, შინაარსიანად, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში, სახალხო კონტროლის კანონის შესაბამისად.

ანგარიშგება-არჩევნებისადმი მიძღვნილ კრებებზე ხალხის ნდობის, კოლექტივის მხრივ დაფასებისა და პატივისცემის გამოხატულება იქნება ის ერთსულოვნება, რომელითაც ამა თუ იმ მუშაკს დასახელებენ და აირჩევენ ჯგუფებისა და საგუშაგოების შემადგენლობაში. სწორედ ამიტომ კოლექტივის ნდობა დიდად საპატიოა და მას გამართლება უნდა.

სახალხო კონტროლიორის მოვალეობა უაღრესად პასუხსაგებია, რადგან ხალხი გირჩევს, გენდობა და პატივს გცემს, ამიტომ მუდამ უნდა იყო ამ ნდობის ღირსი და მთელი შენი გულით, მგზნებარებით, სინდისიერებით ასრულებდე ამ საპატიო მოვალეობას.

ჩვენი სახალხო კონტროლის ორგანოთა ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვანი მოვლენის — ანგარიშგება-არჩევნების წარმატებით მოწყობა-დამთავრება დიდად არის დამოკიდებული პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიურ ხელმძღვანელობაზე. ამიტომ მათ აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი და უხელმძღვანელონ ამ მასობრივი ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნებს, ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ ეს პასუხსაგები ღონისძიება ორგანიზებულად, მაღალ პოლიტიკურ დონეზე მიმდინარეობდეს.

რუსთავი: ჩაუქრობელი ცეცხლი

ახალი სააგლომერაციო ფაბრიკა: ბიოგრაფიის დასაწყისი

35 წლის წინათ, 1948 წლის 19 იანვარს, პატარა დაბა რუსთავი რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქად გარდაიქმნა. ორი წლის შემდეგ — ამიერკავკასიის შავი მეტალურგიის პირმშომ — რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ პირველი ფოლადი გამოადნო, რამაც ბიძგი მისცა საქართველოში ლითონის მოხმარებელი დარგების განვითარებას.

ქალაქიც, სადაც ამჟამად ცხოვრობს 60 ეროვნების 130 ათასზე მეტი კაცი, და რესპუბლიკის სიამაყე — მეტალურგიული ქარხანაც ააშენა ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ლენინის ორდენოსანი №1 ტრესტის კოლექტივმა.

1983 წლის 25 იანვარს საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი, სათვალავით მეორე, სააგლომერაციო ფაბრიკა მეტალურგიულ ქარხანაში. ათიათასობით მშენებლის, მემონტაჟის, გამმართველის, დამპროექტებლის, მეტალურგის თავდადებული, ჟეშმარიტად გმირული შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. სახელმწიფო კომისიამ მაღალი შეფასება მისცა ფაბრიკას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭომ, პროფსაბჭომ და საქართველოს აღკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიფლოცეს მშენებლობის ყველა მონაწილეს ეს წარმატება.

აგლომერატი დანაჭრონვნებული მადანია, ურომლისოდაც ვერ დამზადდება ვერც თუჯი, ვერც ფოლადი, მაშასადამე, ვერც ლითონპროდუქცია. აგლომერატი ლითონის მიღების ყველა შემდგომი პროცესის თავიდათავია.

აგლომერატის ნაკლებობა აფერხებდა დარგის განვითარების ტემპს, არაერთხელ ყოფილა რუსთაველ მეტალურგთა ჩამორჩენის მიზეზი. ამიტომ ისინი განსაკუთრებული გულითადობით უდიდნენ მადლობას მშენებლებსა და მემონტაჟეებს. ახალი საწარმოს საექსპლოატაციოდ გადაცემა მათ ახალი მაღალი მიჯნების მიღწევაში დაეხმარება.

სიტყვა „ფაბრიკა“ მთლად არ შეესაბამება ამ გიგანტურ ნაგებობას, რომლის წყალობითაც ახლა მთელი დღე-ღამეების განმავლობაში გიზგიზებენ რუსთავის ბრძმედები და მარტენის ღუმელები. მოდის ფოლადი... საწარმოში, მის საამქროებში, უბნებზე ხალხმრავლობაა.

მშენებლების, მემონტაჟეების, დამპროექტებლებისათვის დიდი შრომითი გამარჯვების მოსალოცად მოვიდნენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, გ. ანდრონიკაშვილი, დ. ქართველიშვილი, თ. მოსაშვილი, ი. ორჯონიკიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე ბ. მახარაშვილი, რესპუბლიკისა და ქალაქის სხვა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

ისინი იყვნენ ფაბრიკის საამქროებში, დათვალიერეს მისი ტექნოლოგიური ხაზები, აგრეგატები, მართვის ფარები, ესაუბრნენ მშენებლებს, მეტალურგებს, სპეციალისტებს, გამოკითხეს, თუ როგორია მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები. მშენებლებმა, ახალი საწარმოს მშრომელებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს რესპუბლიკის ხელმძღვანელებს მუშათა კლასზე დიდი ზრუნვისა და ყურადღებისათვის. მათ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამ ზრუნვას უპასუხონ ახალი შრომითი გამარჯვებებით, გულმოდგინედ და შეუპოვრად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი.

აღინიშნა ცალკეული ნაკლოვანებანიც, რომელთა უსწრაფესი აღმოფხვრა ხელს შეუწყობს მეტალურგთა მუშაობის გაუმჯობესებას.

რესპუბლიკის ხელმძღვანელები, სტუმრები, წარმოების მოწინავენი საგლომერაციო მანქანასთან მიდიან.

ფაბრიკის უფროსი ზ. თათარაძე ბრძანებას იძლევა. ოპერატორები კნოპს აჭერენ თითს და მძლავრი აგრეგატები მოქმედებას იწყებენ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ახალმა საგლომერაციო ფაბრიკამ თავისი შრომითი ბიოგრაფია დაიწყო. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ყოველწლიურად მიიღებს 2,2 მილიონ ტონა აგლომერატს, 2,5-ჯერ მეტს, ვიდრე დღემდე იღებდა.

რუსთაველებს ამ რთული საინჟინრო ნაგებობების აშენებაში მთელი ქვეყანა ეხმარებოდა. ფაბრიკის მშენებლობასა და დამონტაჟებაზე ქართველ სპეციალისტებთან ერთად შრომობდნენ მათი კოლეგები რუსეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან. მოწყობილობა მოდიოდა საბჭოთა კავშირის ათობით ქალაქიდან.

მშენებლობაზე შესრულდა უდიდესი მოცულობის სამუშაოები. საკმარისია ითქვას, რომ აქ დამონტაჟებულია 20 ათასი ტონა ლითონკონსტრუქციები, დაახლოებით 15 ათასი ტონა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, 4,4 ათასი ერთეული მოწყობილობა, 200 კილომეტრი მილსადენი, 500 კილომეტრი კაბელ-გამტარი კომუნიკაციები.

ახალი სააგლომერაციო ფაბრიკა უნიკალური ნაგებობაა. პირველი ანალოგიური საწარმო აშენდა ლიპეცკში, სადაც საწარმოო პრაქტიკა გაიარა ათობით რუსთაველმა მუშამ, ტექნიკოსმა და ინჟინერმა. ყველა ძირითადი ტექნოლოგიური და დამხმარე პროცესის ავტომატიზაციამ შეამსუბუქა მომსახურე პერსონალის მუშაობა.

დამპროექტებლებმა იზრუნეს გარემოს სისუფთავისთვისაც. საბრუნი წყალმომარაგების სისტემა გამორიცხავს მდინარე მტკვრის გაჭუჭყიანებას. 150 მეტრი სიმაღლის მილებზე დადგმული მძლავრი ელექტროფილტრები ჰაერში არ გაუშვებენ მავნე მინარევებსა და გაზებს. ფაბრიკის თავზე ცა მუდამ სუფთა იქნება.

ფაბრიკის საექსპლოატაციოდ გადაცემა ახალ პერსპექტივებს უსახავს კოლექტივს, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ო. სულაძემ. — ავტომატები ოპტიმალურ პირობებში უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებას, რაც მნიშვნელოვნად გაადუმჯობესებს აგლომერატის, შემდეგ კი მთელი ლითონპროდუქციის ხარისხს. რკინის შემცველობა აგლომერატში თითქმის ორი პროცენტით გადიდდება.

... პირველ შრომითს ვახტზე დგანან წარმოების მოწინავენი. აგრეგატებთან და მართვის პულტებთან ადგილები დაიკავეს უფროსმა მეაგლომერატემ ვ. გოგუაძემ, მსხვრეველმა გ. ცაბაძემ, ფაბრიკის უფროსის თანაშემწემ კაზმის დარგში ვ. რუსიძემ, ზეინკალმა ვ. კურტანიძემ, საბრუნი წყალმომარაგების უბნის ოსტატმა თ. ამირეჯიბმა, მადოზირებელმა გ. კაშიამ, მექანიკოსმა მ. ზვიადაძემ და სხვებმა.

ვახტმა წარმატებით ჩაიარა. მოწყობილობა ჩინებულად მუშაობდა. ადამიანები შთაგონებით შრომობდნენ, მიღებულია პირველი ასობით ტონა მაღალხარისხოვანი აგლომერატი.

რუსთაველ მეტალურგთა და მშენებელთა დიდი შრომითი გამარჯვების აღსანიშნავად ფაბრიკაში გაიმართა მიტინგი. იგი გახსნა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, სააგლომერაციო ფაბრიკის მშენებლობის ხელმძღვანელობის შტაბის უფროსმა რ. მ. გიორგაძემ.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ე. ა. შევარდნაძეს.**

მან თქვა:

ძვირფასნო ამხანაგებო!

საზეიმო, სასიხარულო დღე დაგვიდგა: პირველი პროდუქცია გამოუშვა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ახალმა საგლომერაციო ფაბრიკამ. და როგორც ყოველთვის არის ხოლმე ასეთ შემთხვევებში, ჩვენ გულითად მადლობას მოვახსენებთ კეთილშობილი, უაღრესად პასუხსაგები პროფესიის ადამიანებს, ჩვენს სახელოვან მშენებლებს.

ნება მიბოძეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მზურვალედ და გულითადად მივულოცო ეს დიდი შრომითი გამარჯვება მშენებელთა, მემონტაჟეთა, ექსპლოატაციის მუშაკთა, დამპროექტებელთა მრავალათასიან ინტერნაციონალურ კოლექტივს.

ადამიანი თავს ბედნიერად გრძნობს, როცა საკუთარი თვალით ხედავს თავისი გარჯის ნაყოფს, შეიგრძნობს თავისი შრომის შედეგებს. მაგრამ ყველას როდი ხელეწოფება აღიარსოს კანონიერი სიამაყით, შემოქმედიანა და აღმშენებლის სიამაყით. ამ მხრივ მშენებლებისა მართლაც შეიძლება შეგშურდეს კაცს. მათ ნახელავს ყველა ხედავს, იგი საყოველთაო-სახალხო კუთვნილებას წარმოადგენს.

ჩვენი დიადი სამშობლოს მთელი ისტორია დიად მშენებლობათა ისტორიაა. სწორედ ეს მშენებლობებია ჩვენი მიღწევების დროის საზომი. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა და ამურის კომსომოლსკი, მაგნიტკა და დნეპრჰესი, ბრატსკი და ბაიკალ-ამურის მაგისტრალი — ყოველივე ეს ქვეყნის ბიოგრაფიის დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტები, დიდი და სახელოვანი გზის ეტაპები. ამიტომ ხომ არ არის, რომ ჩვენ მშენებელს ვეუწოდებთ ყველა საბჭოთა ადამიანს — ახალი ცხოვრების მშენებლებს, კომუნისტური საზოგადოების მშენებლებს?!

დღეს საქართველოში დიდ პატივია მშენებლის პროფესია. და ეს დაკავშირებულია რესპუბლიკის ინდუსტრიული პოტენციალის უკანასკნელი წლების განუხრელ აღმავლობასთან. მარტო შარშან ამოქმედდა კინდღის მეფრინველეობის ფაბრიკის პირველი რიგი, ქუთაისის საავტომობილო და თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნების, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ახალი სიმძლავრენი, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის უბანი თეთრი წყაროდან, რიკოთის ელექტრონული ავტოსაგზაო გვირაბი. საექსპლოატაციოდ გადაეცა ქოჩარისა და ხობის დიდი ჩაის ფაბრიკები, მუკუზნისა და თერჯოლის ღვინის ქარხნები, ეგრისის, კორბოულის, კლდეკარის თანაბედროვე მეცხოველეობის კომპლექსები.

(დასასრული მე-2 გვ.)

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

26 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრი მ. ჰონეკერი. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში იმყოფება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მოწვევით.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე გულითადად მიესალმა სტუმრებს და მათი სახით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს. ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მშრომელებს ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად, გულწრფელად ახარებთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დელეგაციის წევრებს გააცნო რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. იგი დაწვრილებით შეეხო საქართველოში სახალხო განათლების განვითარებას, მოსწავლეთა სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის ამოცანებს.

მ. ჰონეკერმა მადლობა გადაიხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მუშაკთა დელეგაციისათვის საქართველოში გაწეული გულითადი მასპინძლობის გამო. ჩვენი წარმატებანი, თქვა მან, უკავშირდება საბჭოთა კავშირის წარმატებებს, თქვენს ქვეყანასთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინტეგრაციას. საბჭოთა კავშირის მტკიცე, სტაბილური განვითარება, რომელშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თქვენს რესპუბლიკასაც, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებისათვის კარგი ორიენტირი, მძლავრი დასაყრდენია იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის 34-ე წელი, აღნიშნა მ. ჰონეკერმა, მოწმობს, რომ ჩვენს მეგობრობას, ჩვენს საბრძოლო კლასობრივ კავშირს ახასიათებს შეთანხმებული წინსვლა სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებული მშენებლობის გზით.

საუბარს დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის გენერალური მდივანი გ. დიტრიხი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს საერთაშორისო სამმართველოს უფროსი ჰ. გეერჰარდი, ნოობრანდენბურგის ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ა. რაინი.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლთა განყოფილების გამგე ა. პ. საყვარელიძე, სსრ კავშირის განათლების მინისტრის მოადგილე მ. ი. ჟურავლიოვი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. დ. ქინქლაძე (საქინფორმი).

გაზაფხულის შესახვედრად

თესლი მოსავლის დედაა

რატომ ვერ მოიმარაგა ზოგიერთმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ საჭირო კონდიციური თესლი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ საგაზაფხულო სამუშაოთა დროულ და მაღალხარისხოვნად შესრულებას. ვინ არ იცის, რომ კარგი, კონდიციური თესლი უზვი მოსავლის დედაა, საფუძველია. ამას მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სათანადო ყურადღებას აქცევენ და წლითიწლობით მარცვლეულისა და საგაზაფხულო კულტურების უხვ მოსავალს იღებენ. მაგრამ არიან ისეთი კოლექტიური მეურნეობებიც, რომლებიც საგაზაფხულო თესვისათვის კვლავ ძველებურად, დაუდევრად „ემზადებიან“, ვერ ამარაგებენ საჭირო კონდიციურ თესლს. სწორედ ამის გამო გაზეთი „პრავდა“ თავის მეთაურ წერილში სამართლიანად აკრიტიკებდა ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებს. ამ საკითხზე გაზეთი „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ს. რუხაძეს:

კითხვა: ზამთრის ორი თვე თითქმის გავიდა, მალე მოვა გაზაფხული, მინდრად გაჩაღდება თესვა და სხვა სამუშაოები. ახლა რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობები ძირითადად მზად უნდა იყვნენ თესვისათვის. ამ მხრივ რა მდგომარეობაა?

— დაუფარავად უნდა ითქვას, საგაზაფხულო თესვისათვის თესლის მომზადების საქმე რიგზე ვერ არის. ამის შესახებ ძალზე სერიოზული მსჯელობა იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და სამართლიანად გვისაყვედურეს. პირველი იანვრისათვის საგაზაფხულო კულტურების თესლის მომარაგებისა და კონდიციურობის საქმე არ იყო კარგად. ჩამოვრჩებოდით შვრიისა და განსაკუთრებით ბარდის თესლით მომარაგების საქმეში. 14.775 ცენტნერიდან სულ მცირე რაოდენობით გვქონდა ბარდის თესლი. სიმინდის თესლის მომარაგების გეგმა არ იყო შესრულებული, თანაც 66.545 ცენტნერიდან 8.743 ცენტნერი უკონდიციო იყო.

საგაზაფხულოდ კულტურები წელს 406,7 ათასი ჰექტარი უნდა დაითესოს. აქედან 75 ათას ჰექტარს სამარცვლე სიმინდი დაიკავებს, 11,8 ათასს — სამარცვლე პარკოსნები, 11,8 ათასს — შვრია, 23,5 ათასს — სოია, 11,3 ათასს — მზესუმზირა, 20,4 ათასს — კარტოფილი, 27,6 ათასს — ბოსტნეული, 203,1 ათას ჰექტარს — პირუტყვის საკვები კულტურები და სხვა. როგორც ვთქვი, ახალი წლის დამდეგისათვის მთელი რიგი კულტურების თესლი საკმაოდ არა გვქონდა, საგრძნობი ნაწილი უკონდიციო იყო. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სამინისტროში შეიქმნა ოპერატიული ჯგუფები. ამან კარგი შედეგი მოგვცა. 1 იანვრიდან 15 იანვრამდე საგაზაფხულო მარცვლეულის და სამარცვლე პარკოსანი კულტურების თესლის მომარაგება 2.845 ცენტნერით, ანუ 1,9 პროცენტით, კონდიციურობა კი 4,8 პროცენტით. უკონდიციო თესლის რაოდენობა 7.621 ცენტნერით შემცირდა. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით მდგომარეობა სახარბიელო არ არის, განსაკუთრებით ისევ ბარდისა და შვრიის თესლის მხრივ. დღესდღეობით მომარაგების გეგმა 16,2 პროცენტით შესრულდა. 69.831 ცენტნერი შვრიის თესლიდან 39.943 ცენტნერია მხოლოდ კონდიციური. არც მზესუმზრისა და სოიის თესლის კონდიციურობის საქმეა კარგად.

საგაზაფხულო მარცვლეულის და სამარცვლე პარკოსანი კულტურების (უსიმინდოდ) თესლის მომარაგებისა და კონდიციურობის საქმე არასახარბიელოა საგარეჯოს, სიღნაღის, თეთრი წყაროს, მცხეთის რაიონებში. სიღნაღის რაიონში 3.723 ცენტნერი თესლიდან მხოლოდ 1.043 ცენტნერი, ანუ გეგმის 31 პროცენტია კონდიციური.

კითხვა: როგორც ცნობილია, ზოგიერთი რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა საშემოდგომო თესვის დავალება ვერ შეასრულეს. როგორ და რა საშუალებებით ფიქრობთ მდგომარეობის გამოსწორებას?

უშინაარესად წალკის რაიონი უნდა დავასახელოთ, სადაც საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად თითქმის ჩაშალეს საშემოდგომო თესვა. არადამაკმაყოფილებელია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების მუშაობა. მათ 679 ჰექტარი დააკლეს საშემოდგომო თესვის გეგმას. ამასთან ფართობის ორ მესამედზე მეტი აგროვადების დარღვევით დათესეს. საგეგმო და აგროტექნიკური წესების უხეშად დაარღვიეს თელავის, ასპინძის, თეთრი წყაროს, სამტრედიის რაიონებისა და ქ. ჭიათურის ზონის მეურნეობებმა.

შემაშფოთებელია ისიც, რომ მთელი რიგი რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანების, საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელთა სუსტი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად ვადების დარღვევით მიმდინარეობს საგაზაფხულო კულტურების თესვისათვის მზადების საშუშაოებიც. მზრალად ხვნის, კონდიციური თესლეულის მომარაგების, ტექნიკის რემონტის საქმე ყველგან როდია რიგზე.

შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შექმნა კონტროლის ოპერატიული ჯგუფები, დაზუსტებულია და შედგენილია თესვის გრაფიკი. ოპერატიული ჯგუფის წევრები ყოველდღიურად რეგულარულად შეამოწმებენ როგორც თესვისათვის მზადებას, ისე თესვის მიმდინარეობას, მკაცრად იქნება დაცული გრაფიკი და აგროტექნიკური წესები. გრაფიკისა და აგროტექნიკური წესების დამრღვევნი სათანადოდ დაისჯებიან

26 იანვარი

უკანასკნელი

ფაქტები მოვლენები საკვლევი იუწყება

რუსთავი: ჩაუქრობელი ცეცხლი

(დასასრული)

ბევრი რამ გაკეთდა ადამიანის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებისა ვის, დამთავრდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 4 საამქროს აღრეშენება, გაიხსნა ახალი სკოლები და საბავშვო ბაღები, აშენდა საავადმყოფოები, ყვარელში, ცხაკაიაში, ლაგოდეხში, სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. საექსპლოატაციოდ არის გადაცემული დაახლოებით 1,2 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

მწყობრში ჩადგა ათობით სხვა მსხვილი ობიექტი, რომლებიც დიდ როლს შეასრულებენ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპის შემდგომ დაჩქარებაში და კარგი საახალწლო საჩუქარი გახდა ჩვენი ხალხისათვის.

ამ რიგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეტალურგიული ქარხნის ახალ საგლომერაციო ფაბრიკასაც, რომლის ბადალი არ არის ჩვენს ქვეყანაში. ეს უაღრესად უნიკალური ნაგებობაა. ამ ძალზე რთული საინჟინრო-ტექნიკური ობიექტის ამოქმედება უაღრესად მნიშვნელოვანი მშენებლობის ყველა მონაწილის დიდ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ.

ახლა უბრალოდ ძნელია ვისი-მე პერსონალურად გამოყოფა. გაუზვიადებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თქვენ ყველანი, ძვირფასო ამხანაგებო, ნამდვილი გმირები ხართ. ბევრს ხომ არც ეჯერებოდა, რომ შეძლებდით ფაბრიკა აგემოქმედებინათ ესოდენ მოკლე ვადაში. ის კი არა, რესპუბლიკის ზოგიერთი ხელმძღვანელიც ეჭვობდა. მაგრამ თავდადებამ, ორგანიზებამ, გმირულმა შემართებამ წარმატებით გადაგაწყვეტინათ ურთულესი პრობლემები.

ხალხი დღისით და ღამით, დარსა და ავდარში მუშაობდა. ჩვენ ვიცოდით, რა თავდაუზოგავად შრომობდნენ ობიექტზე რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს №1 ტრესტის, №2, №3, №13 ტრესტების საუკეთესო ბრიგადები, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“, „კავკასენერგომონტაჟის“, „ენერგადმონტაჟის“, „სამხმონტაჟავტომატიკის“ კოლექტივები და მრავალნი სხვანი. მადლობას მოგახსენებთ ესოდენ მაღალი შეგნებისა და დისციპლინის, საყოველთაო-სახალხო საქმის ერთგულებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ყოველი დიდი მშენებლობა მუდამ ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სკოლაა ხოლმე. რუსთავის საგლომერაციო ფაბრიკის მშენებლობაში თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, ჩვენი ქვეყნის 42 ქალაქი მონაწილეობდა. მოწყობილობას გვიგზავნიდნენ მოსკოვი და ლენინგრადი, ურალი და შორეული აღმოსავლეთი, უკრაინა და ბელორუსია, აზერბაიჯანი, უზბეკეთი და სხვა რეგიონები.

ძალზე მადლიერნი ვართ ლიპეცკის „მეტალურგნაგლინმონტაჟის“ სამმართველოს, ორჯონიკიძის ჩრდილოეთ კავკასიის „ტექმონტაჟის“ სამმართველოს, ოსტოვის „სპეკინჟინერმონტაჟის“ სამმართველოს კოლექტივებისა. ჩვენ სულით, და გულით მოგახსენებთ მადლობას დახმარებისათვის, იმისათვის, რომ ასე პირნათლად მოიხადეთ თქვენი მუშური ვალი. აქ უნებლიედ გვახსენდება ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვები, რომ ჩვენს მრავალეროვანი შემადგენლობა ისტორიაში პირველად გადაიქცა მისი სისუსტის წყაროდან ძლიერებისა და აყვავების წყაროდ.

დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს რესპუბლიკის სახმომაზრაგებამ, შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, ბევრმა რესპუბლიკურმა სამინისტრომ და უწყებამ. ორგანიზებულად და აწყობილად მოქმედებდა თვით ქარხნის დირექცია, როგორც გენერალური შემკვეთი. მნიშვნელოვანი წვლილი შემატეს წარმატების მოპოვებას პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. მაღალი პოლიტიკური და შრომითი განწყობილების შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს პროფსაბჭოს, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს.

მარჯვედ უწევდა კოორდინაციას და წარმართავდა მუშაობას მშენებლობის ხელმძღვანელობის პარტიული შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. რ. შ. გიორგაძე. გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ ყველას, ძვირფასო ამხანაგებო!

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ისიც, რომ არ გვაყლებდნენ პირად ყურადღებასა და დახმარებას ჩვენი საკავშირო მინისტრები: შავი მეტალურგიისა — ამხ. ივანე პავლეს ძე კაზანეცი, სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოებისა — ამხ. ბორის ვლადიმერის ძე ბაკაინი, მშენებლობისა — ამხ. გიორგი არკადის ძე კარაგანევი, მათი მოადგილეები — ამხანაგები ნიკოლოზ ალექსის ძე ტუროინი, კლიმენტი სიმონის ძე კოჩანოვი, სერაფიმ კარპეს ძე ცარუკიანი, რომელთან ერთადაც უკვე პირველი წელი არ არის, რაც ვმუშაობთ, და რომლებიც ყოველთვის ოპერატიულად წყვეტენ ხოლმე ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ძალზე მადლობელი ვართ ასეთი მხარდაჭერისათვის.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საგლომერაციო ფაბრიკის ამოქმედება შედეგია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, პირადად ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ამხ. გენადი ვასილის ძე კოლბინის უნარიანი ხელმძღვანელობისა. სწორედ ამხ. კოლბინს დავავალეთ ჩვენ ბიუროს სახელით ამ და ბევრი სხვა პრობლემის გაძღოლა, და მას რუსთავში კარგად იცნობენ და დიდად აფასებენ.

უნდა თქვას, რომ ამ ბოლო დროს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი რთულ პრობლემებს აწყდება. მათი გადაჭრის ერთადერთი გზაა წარმოების რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება. აი რატომაა, რომ ახალი საგლომერაციო ფაბრიკის ამოქმედებას სრულიად პრინციპული მნიშვნელობა აქვს მთელი კოლექტივისათვის.

შესაძლებელი ხდება მთლიანად უზრუნველყოთ საბრძმედე პროცესი აგლომერატით და მაშასადამე, გავაფართოოთ თუჯის წარმოება, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი საბრძმედე ღუმელების უფრო თანაბარზომიერი დატვირთვის გზით, შევამცეროთ დნობის ციკლი. ამის შედეგად სტაბილური გახდება მარტენის საამქროს, მთელი ქარხნის მუშაობა, გაუმჯობესდება ფოლადისა და მილების ხარისხი.

შემცირდება გარემოს გაჭუჭყიანება, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთი სიტყვით, ახლა ყველა საფუძველი გვაქვს მოვითხოვოთ, რომ მეტალურგებმა აღარ დაალატონ რესპუბლიკა, პირნათლად გაართვან თავი საგეგმო დავალებებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს.

ჩვენ თქვენთან, ამხანაგებო შემთხვევით არ მოვსულვართ. გვინდა გამოვთქვათ რწმენა, რომ რუსთაველ მეტალურგთა კოლექტივი, რომელიც ერთ-ერთი ინიციატორი იყო პატრიოტული თაოსნობისა — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!“ — არ გაუდგება განზე სოციალისტური დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცების, ორგანიზებულობის, აქტიურობის ამაღლებისათვის გაწეილ მოძრაობას, რომელიც დღეს ახალი ძალით ჩაღდება მთელ ქვეყანასა და რესპუბლიკაში.

დარწმუნებული ვართ, რომ ისევე, როგორც რამდენიმე წლის წინათ, თქვენ თბილისელ ავიამშენებლებთან ერთად ჩაუდგებით სათავეში ამ მოძრაობას რესპუბლიკაში. კვლავ უნდა მიმართოთ იმ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც თქვენს არსენალში გაქვთ, და გაამლიეროთ ამშრდელობითი, იდეოლოგიური მუშაობა.

რაც შეეხება მატერიალურ საფუძველს, ეს ისევ და ისევ რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლებაა. საგლომერაციო ფაბრიკის ამ-ამოქმედებით ხომ არ მთავრდება საქმე. ქარხანა კვლავაც განახლდება. განსახორციელებელი გაქვთ ფურცელსაგლინავი საამქროს რეკონსტრუქცია, უნდა დაასრულოთ აირსაწმენდი დანადგარები მარტენის ღუმელებში, განაგრძოთ სამუშაოები მილსაგლინავ საამქროში. ეს უზრუნველყოფს წარმოების საგრძნობ მატებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას.

გაუჭობესდება მუშათა შრომისა და დასვენების პირობები. საკმარისია ითქვას, რომ ნავარაუდევია ყოველწლიურად ჩაბარდეს დაახლოებით 20 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ვფიქრობ, ასეთ პირობებში რუსთაველი მეტალურგები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კვლავ ჩადგნენ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის ფლაგმანთა შორის.

რუსთავი ჩვენი მუშური მამაცობის ქალაქი, დიდი და სახელოვანი ტრადიციების ქალაქია. ამ ტრადიციებს ქმნიან მეტალურგები, ქიმიკოსები, მშენებლები, მანქანათმშენებლები, ერთი სიტყვით, მუშა ხალხი. ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ყველაფერს იღონებთ, რათა გადააქციოთ მშობლიური ქალაქი დამკვრელური შრომის, სანიმუშო დისციპლინისა და მაღალი კულტურის ქალაქად.

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს, ბედნიერებას და კარგად ყოფნას ამ ახალ წელს, ძვირფასო ამხანაგებო, ძვირფასო მეგობრებო!

* * *

მშენებლობის მინისტრის მოადგილემ, ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის მმართველმა კ. გოგიჩაიშვილმა თავის გამოსვლაში ილაპარაკა მშენებელთა და მემონტაჟეთა მიერ მოპოვებულ გამარჯვებაზე და ქარხნის დირექტორს ო. სულაძეს გადასცა ფაბრიკის სიმბოლური გასაღები.

ო. სულაძემ მადლობა გადაუხადა მშენებლებს და რუსთაველ მეტალურგთა სახელით განაცხადა, რომ ქარხნის კოლექტივი კიდევ უფრო უკეთ, უფრო ნაყოფიერად იმუშავებს.

მიტინგზე გამოვიდნენ რუსთავის „საქმეკანმონტაჟის“ სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირი ვ. პშენიჩნი, № 1 ტრესტის № 8 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსურ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ა. სვანი, „მეტალურგნაგლინმონტაჟის“ ტრესტის ლიპეცკის პირველი სამონტაჟო სამმართველოს უფროსის მოადგილე გ. ილიასოვი და სხვები.

მიტინგის მონაწილეებმა პარტიას და მთავრობას აღუთქვეს, რომ არ დაიშურებენ ძალ-ღონეს და ენერგიას, ოღონდ ხორცი შეასხან სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. (საქინფორმი).

ამრავლებენ მიღწეულს

გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა

გულდაჯერებული სტარტი, რომელიც ხაშურის რაიონის მშრომელებმა აიღეს ხუთწლედის მესამე წელს, ბევრად განსაზღვრა შარშან მათ მიერ მიღწეულმა წარმატებებმა.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად გაწეილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევამ, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებამ რაიონს გამარჯვება მოუპოვა შრომითს მეტოქეობაში. მას მიენიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ ჯილდოს გადაცემა გაიმართა ხაშურში რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულები.

რაიონის წარმომადგენლებს გარდამავალი წითელი დროშა გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის მმართველობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ვ. კ. შარტავამ. მან გულთბადად მიულოცა რაიონის კომუნისტებს, ყველა მშრომელს მაღალი ჯილდო, ახალი დიდი წარმატებები უსურვა ხუთწლედის მესამე წელს მათ წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში.

კრებაზე გამოვიდნენ პარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ლ. მ. დათიაშვილი, სალოკომოტივო დეპოს მემანქანე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ი. ხაჩიძე, ფლევის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. გ. ნოზაძე და სხვები, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას ჯილდოსათვის. რაიონის მშრომელთა სახელით მათ დანაცხადეს, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა გაამართლონ იგი, ამრავლონ მიღწეული, უზრუნველყოფენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებების, ხუთწლედის მესამე წლის გეგმა-ვალდებულებების შესრულებას.

კრების მონაწილეებმა თავიანთი აზრები და გრძნობები გამოხატეს რაიონის მშრომელებისადმი მმართველობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის გაგზავნილ მისასალმებელ წერილში. (საქინფორმი).

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲔᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲔᲝᲔᲥᲕᲡᲔ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ გეგმის, სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფება საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის 11-მილიონიანი რაზმი. 24 დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების 130 ათასი პირველადი ორგანიზაციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ 25 იანვარს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა VI საკავშირო ყრილობაზე, რომელიც იხილავს წარმოების სრულყოფის, სახალხო მეურნეობის პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის საქმეში მეცნიერთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა, მუშათა უფრო აქტიური მონაწილეობის გზებს.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ა. ი. იშლინსკიმ.

შემდეგ მოისმინეს სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ვ. ა. პანკრატოვმა.

* * *

26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ყრილობა მუშაობას განაგრძობდა კრემლის ყრილობათა სასახლეში.

ყრილობაზე დაიწყო კამათი, რომლის შედეგების მიხედვით შეიმუშავებენ მომავალ ხუთწლეულში სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქმიანობის ერთიან სტრატეგიას.

კამათში მგმოვიდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. პ. ალექსანდროვი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ვ. ჭ. ელიუტინი, ელექტრომანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ი. ა. გლებოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. პ. რიაბოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ე. ხაბეიშვილი, დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის მოწყობილობის შემკეთებელ ზენინკალთა ბრიგადირი ა. ვ. რაზლეიცევი და სხვები.

27 იანვარს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა მეექვსე ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საკდესის კორ.).

ᲔᲪᲜᲝᲒᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ჩამოსული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მუშაკთა დელეგაცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის ვ. ჰონეკერის მეთაურობით ორი დღის განმავლობაში ეცნობოდა რესპუბლიკის ცხოვრებას, სახალხო განათლების სისტემას.

სტუმრები იყვნენ ძველ თბილისში, საქართველოს ზელოვნების მუზეუმში, ეწვივნენ ბავშვთა სურათების გალერეას, დაწვრილებით გაეცნენ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის საქმიანობას, დაესწრნენ აქ მხატვრული თვითმოქმედების კონცერტს.

პირველი რესპუბლიკურ ექსპერიმენტული საშუალო სკოლაში სტუმრობის დროს დელეგაციას თარჯიმანი არ დასჭირვებია. მოსწავლენი სტუმრებს გერმანულ ენაზე ესაუბრნენ თავიანთი ცხოვრებისა და სწავლის შესახებ. მ. ჰონეკერმა დიდი ინტერესით გამოიკითხა, თუ როგორ არის დაყენებული სასწავლო პროცესი, როგორ მუშაობს სკოლის ბაზაზე საქართველოს სსრ განათლების ყველა ძველ ტიპის ტიპიური სკოლა. ეს ბაზა ეხმარება ბავშვებს, ეხმარებიან ოჯახები, ეხმარებიან ადგილობრივი ორგანოები, ეხმარებიან ადგილობრივი ინდუსტრიული საწარმოები. ეს ბაზა ეხმარება ბავშვებს, ეხმარებიან ოჯახები, ეხმარებიან ადგილობრივი ორგანოები, ეხმარებიან ადგილობრივი ინდუსტრიული საწარმოები.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲐ

ᲛᲗᲘᲚᲘ ძალ-ღონე მოვახმაროთ სახელმწიფო დავალებათა უთუოდ შესრულებას— ასეთი იყო თბილისში გამართულ ცეკავშირის გამგეობის გაფართოებული სხდომის ლაიტმოტივი. გასული წელი რესპუბლიკის „სამომხმარებლო კოოპერაციამ დეფიციტით დაამთავრა — ვერ შეასრულა გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი. იმისათვის, რომ აღარ გამეორდეს შეცდომები, აღნიშნავდნენ სხდომის მონაწილენი, უწინარესად საჭიროა განმტკიცეს საგეგმო და ფინანსური დისციპლინა, გამოიჩინონ მეტი კომერციული საზრიანობა. ამასთან ერთად საჭიროა ძირფესვიანად გარდაიქმნას მუშაობა კაპიტალური მშენებლობის ობიექტებზე. ამიერიდან მაღალხარისხიანი მომმსახურებელ მოემსახურებიან ბაზრებსა და ბაზრობებზე. ამის მეოხებით გაუმჯობესდება ცეკავშირის მუშაობის ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლები.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ რ. კრიჭინაშვილმა.

სხდომის შედეგები შეაჯამა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ კ. შავიშვილმა.

სხდომის მონაწილეებმა დაამტკიცეს რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მშრომელთა 1983 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. (საქინფორმი).

ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ. *კუნძულ კიუსიუს ხანაპიროსთან დაიწყო იაპონია-ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების წვრთნა.* ორივე მხრიდან წვრთნაში მონაწილეობს თერთმეტი ხომალდი-რაკეტმზიდი კრეისერები, საესკადრო ნაღმოსნები, ფრეგატები, წყალქვეშა ნავი, აგრეთვე ნავსაწინააღმდეგო, მოიერიშე და გამანადგურებელი თვითმფრინავები. ორი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალები, იუწყება კიოდო ცუსინის საგენტო, დაამშვავებენ „კომპლექსურ ოპერაციებს“ საზღვაო კომუნიკაციებზე კუნძულის მიმდებარე ვრცელ რაიონში. ამასთან ძირითადი ყურადღება დაეთმობა „მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავებზე ნადირობას“.

ადგილობრივი პრესის აზრით, ახლანდელი მანევრები მორიგი ეტაპია ტოკიოსა და ვაშინგტონის მზადებაში იაპონიის შეიარაღებული ძალებისათვის წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ზღვის კომუნიკაციებისათვის „კონტროლის“ გადაცემისათვის. კერძოდ, ახლანდელ წვრთნაში მონაწილე ძალებმა უნდა უზრუნველყონ „მზარდაჭერა ფლანგებიდან“ კორეის სრუტის შესაძლებელი „ბლოკირების“ ოპერაციებისათვის, რომელიც საერთაშორისო წყლებს წარმოადგენს.

როგორც აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე დაადასტურა იაპონიის ეროვნული თავდაცვის სამმართველოს წარმომადგენელმა, სამხედრო უწყება „საგანგებო ვითარების შემთხვევაში“ აპირებს გადაკეტოს შორეული აღმოსავლეთის ეს უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი. ეროვნული თავდაცვის სამინისტრო ასევითვე ხვედრს უმზადებს ამ რაიონის ორ სხვა დიდმნიშვნელოვან საზღვაო ტრასასაც — ლაპერუზისა და სანგარის სრუტეებს.

პენტაგონისა და იაპონიის ეროვნული თავდაცვის სამმართველოს სცენარით სრუტეების ბლოკირებამ ხელი უნდა შეუწყოს ამერიკის მხედრიონის მოქმედებას დედამიწის ნებისმიერ სხვა რაიონში შეიარაღებული კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში. სამხედრო-საზღვაო მანევრები 30 იანვრამდე გასტანს.

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲕᲔᲜᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲕᲔᲜᲐ. აქ ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, რათა მონაწილეობა მიიღოს ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების 29-ე რაუნდში, რომელიც 27 იანვარს დაიწყება.

დელეგაციას მეთაურობს ვ. ვ. მიხაილოვი.

● ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ-ᲐᲨᲨ

„ᲓᲘᲓᲘ ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲐ“ ᲛᲔᲝᲠᲓᲔᲑᲐ

ᲙᲐᲛᲐᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲙᲚᲘᲐᲠᲔᲑᲔᲜ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. *„1980-იანი წლების დიდი დეპრესია“ — ეს გამოთქმა უკვე მტკიცედ დამკვიდრდა ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებთა ლექსიკონში, რომელიც ქვეყნის მთელი ომისშემდგომი ისტორიის მანძილზე ყველაზე ღრმა და ხანგრძლივ ეკონომიკურ დაქვეითებას განიცდის.* „ეკონომიკის მძიმე სენის პრობლემა ახლა უფრო მწვავედ დგას, ვიდრე ორი წლის წინათ ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტ რეიგანის მოსვლამდე, ხაზგასმით აღნიშნავს იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საინფორმაციო სააგენტო. შარშან მთლიანი ეროვნული პროდუქტი პირველად 1946 წლიდან 1,8 პროცენტით შემცირდა, სამრეწველო წარმოება 8 პროცენტით და მეტად დაეცა, კრიზისულ მდგომარეობაშია მრეწველობის ყველა წამყვანი დარგი. ქვეყანაში ახლა 1967 წელთან შედარებით ორჯერ ნაკლებ ფოლადს ადნობენ, უშვებენ სატვირთო ავტომობილებს. მზარდმა უმუშევრობამ მოიცვა უკვე 12 მილიონი კაცი.

ესოდენ სავალალო მდგომარეობის მთავარი მიზეზია, აღნიშნავენ ადგილობრივი მიმომხილველნი, რეიგანის ადმინისტრაციის არაშორსმჭვრეტელური და სახიფათო ეკონომიკური პოლიტიკა. „სწორედ რეიგანომიკა უქმნის მთავარ დაბრკოლებას ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურ გაჯანსაღებას“ — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ნიუსდეი“. სტატიაში ნათქვამია რომ „ქვეყნის ეკონომიკაში ახლანდელი ქაოსისათვის პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანწილად ეკისრება რ. რეიგანს იმის გამო, რომ იგი ჯიუტად ამბობს უარს ხელი აიღოს სამხედრო პოტენციალის უპირველესებრ ზრდის გეგმებზე“.

შეერთებულ შტატებში შექმნილი ეკონომიკური სიტუაცია ამომწურავად გააანალიზა ამერიკის შეერთებული შტატების კონფლიქტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გ. ჰოლმა. გაზეთ „დეილი უორლდში“ დაბეჭდილ სტატიაში, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყანაში სიღატაკისა და შიმშილის მასშტაბი უმუშევრობის და დათხოვნების რიცხვის ზრდის, საარსებო მნიშვნელობის პროგრამების შემცირების პირდაპირ პროპორციულად იზრდება. „ახლანდელი სიტუაციის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი, აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ხელმძღვანელი, არის ის, რომ იგი უჩვეულო ციკლურ კრიზისს განიცდის, მონოპოლიების ხელში მოქცეული ეკონომიკური სისტემა, მოხვდა მრავალი კრიზისით ნაქსოვ ბადეში, რომელთაგან თვითოეული განუყოფლად არის დაკავშირებული კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისთან.

ქვეყანაში შეინიშნება რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკისადმი უნდობლობის მკვეთრი ზრდა. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტთან“ ერთად ეი-ბი-სის ტელეკომპანიის მიერ მოწყობილმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ გვიჩვენა, ამერიკელთა ნახევარზე მეტი არ იწონებს თეთრი სახლის ახლანდელი მეთაურის საქმიანობას. გაზეთ „ნიუ-იორკ-ტაიმსთან“ ერთად სი-ბი-ეს ტელეკომპანიის მიერ მოწყობილმა ანალოგიურმა გამოკვლევამ გამოავლინა, რომ ქვეყნის მოქალაქეთა 56 პროცენტს ეკონომიკის პრობლემებისადმი პრეზიდენტის მიდგომა абსოლუტურად არასწორად მიაჩნია. ამასთან გამოკითხულთა 66 პროცენტი გადაჭრით გმობს უმუშევრობის პრობლემისადმი თეთრი სახლის დამოკიდებულებას.

ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘ

ᲐᲨᲨ: 30-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ

ᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ 50 ᲬᲚᲔᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲓᲘᲓᲘ ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲘᲡ“ ᲓᲠᲝᲡ, ᲐᲮᲚᲐᲪ ᲨᲔᲣᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲡᲘᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: 30-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲠᲘᲒᲘ.

ᲐᲨᲨ: 80-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ



ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲔᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ (ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ) ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲔᲑᲘᲗ. ᲐᲮᲚᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲘᲜᲮᲣᲐᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. *როგორც სინხუას საგენტო იუწყება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო სასამართლოსთან არსებულმა სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ* მაო ძე დუნის ქვრივს ძიან ციანსა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყოფილ წევრს ჯან ჩუნციაოს სიკვდილის განაჩენი შეუცვალა სამუდამო პატიმრობით.

სინხუა შეგვახსენებს, რომ 1981 წლის 25 იანვარს ძიან ციანსა და ჯან ჩუნციაოს, როგორც „მთავარ დამნაშავეებს“ ეგრეთ წოდებული „ოთხეულის ბანდის“ საქმის გამო მისასჯათ სიკვდილი და ორი წლით გადაუდეს განაჩენის სისრულეში მოყვანა.

ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲔᲡᲙᲐᲚᲐᲪᲘᲐ

„ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ“ ᲣᲜᲘᲦ

მასების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 184

დიდი გამოცდის წინ

სახალხო კონტროლის ორგანოებში იწყება ანგარიშგება-არჩევნები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებაში და ამ პლენუმზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში მოცემულია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მძლავრი განვითარებისა და მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ნათელი გზები.

1983 და შემდგომ წლებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას, როგორც ეს პლენუმზე აღინიშნა, წარმოადგენს მეცნიერებისა და წარმოების კავშირი, მატერიალური და შრომითი რესურსების, ქვანახშირის, ბუნებრივი გაზის, ნავთობპროდუქტების, თბოენერგიისა და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენება, უყაირათობისა და მფლანგველობის აღმოფხვრა. ამ-ასთანავე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უმთავრესი ყურადღება ეთმობა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარი დარღვევების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას.

ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის შრომელთა ინიციატივა სოციალისტური დისციპლინის ყოველნაირად განმტკიცებისათვის. საწარმოში ამას წინათ გამართული კრების მასალებში ნათლად არის მოცემული სახალხო კონტროლის ორგანოების მოვალეობა ამ დიდ საქმეში.

ცხადია, განსაკუთრებით ახლა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კულტურული და სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე იზრდება სახალხო კონტროლის ორგანოების თითოეული ჯგუფისა და საგუშაგოს, მათ მიერ მოწყობილი შემოწმებების როლი და მნიშვნელობა. ეს კი მოითხოვს საკონტროლო მუშაობის ძირეულ გარდაქმნას, მოქმედების ყველა უბანზე კონტროლის მებრძოლურობას, საკონტროლო საქმიანობის მკვეთრ გაუმჯობესებას.

წლეულს ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, გაიმართება სახალხო კონტროლის ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები, რომელიც პირველ თებერვალს დაიწყება და თითქმის სამ თვეს გასტანს. რა თქმა უნდა, ეს კამპანია დიდი მოვლენაა სახალხო კონტროლის ორგანოების ცხოვრებაში. ამიტომ ახლა მთავარია, როგორ მოვამზადებთ და ჩავატარებთ არჩევნებს, ვის ავირჩევთ და ვის დავაკისრებთ სახალხო კონტროლიორის საპატიო მოვალეობას.

ამ პასუხსაგები კამპანიისათვის მზადება ჩვენ დროულად დავიწყეთ, საამისოდ დავსახეთ ღონისძიებანი, მოვაწყვეთ საუბრები, რჩევა-დარიგება მეეკონომეთა ადგილებზე, თვალსაჩინო მუშაობა გავწიეთ სახალხო კონტროლის ზოგიერთი ჯგუფისა და საგუშაგოს საქმიანობის შესწავლის შედეგებისა და ცალკეული სახალხო კონტროლიორების პასიურობის მიზეზების შესახებ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტისა და რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის შესაბამის დადგენილებათა მიხედვით. ამ დადგენილებაში მოცემული აქტუალური საკითხები ჩვენი რაიონის სახალხო კონტროლის ორგანოების, მისი აქტივის, ფართო საზოგადოებრიობის საქმიანი მსჯელობისა და განხილვის საგანი გახდა. აქ დიდი დახმარება გაგვიწიეს პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, პირველადმა ორგანიზაციებმა.

ჯერ კიდევ შარშან პარტიის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო პარტიული ორგანიზაციების მდივნების, სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეების, აქტივისტების თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრები, განყოფილებათა გამგეები, რაისაბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები, სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრები, შტატგარეშე განყოფილებათა და სექტორების გამგეები. ისინი გაეცნენ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებას. თათბირმა შეიმუშავა სახალხო კონტროლის [illegible]ბისა და ზოგიერთი კონტროლიორის პასიურობის მიზეზების აღმოფხვრის კონკრეტული რეკომენდაციები.

კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა და შტატგარეშე ინსპექტორების ანალოგიური თათბირ-სემინარი გაიმართა თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტში. შეშუშავებული გრაფიკის მიხედვით, პარტბიუროს წევრების, პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლების, „კომკავშირული პროექტორისტების", საწარმოთა ადმინისტრაციისა და აქტივის მონაწილეობით შარშან ოქტომბერ-ნოემბერში სახალხო კონტროლის ყველა ჯგუფში მოეწყო კრებები, რომლებზეც სათანადოდ გააანალიზეს ჯგუფების, თითოეული კონტროლიორის საქმიანობა, აღინიშნა ნაკლოვანებანი, ზოგიერთი კონტროლიორის პასიურობის გამომწვევი მიზეზები, დაისახა მათი აღმოფხვრის ღონისძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯგუფებისა და საგუშაგოებისათვის კომპეტენტური, მრომით და დისციპლინით სამაგალითო მუშაკების კანდიდატურათა შერჩევას, რომლებსაც კოლექტივებისა და ამხანაგების ნდობა აქვთ დამსახურებული. აქვთ საკონტროლო მუშაობის გამოცდილება, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის უნარი. ასეთმა მომთხოვნელობამ უნდა უზრუნველყოს მომავალ ანგარიშგება-არჩევნებში ჯგუფებისა და საგუშაგოების მაღალი აქტიურობა.

სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებში პასიურობის წინააღმდეგ ბრძოლა მუდამ იდგა სახალხო კონტროლის კომიტეტის დღის წესრიგში. მაგალითად, კომიტეტის წინადადებით შარშან პასიურობისათვის შეიცალა „თბილისგიორამშენის" სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ასეთი შემთხვევები მომავალი ანგარიშგება-არჩევნების შემდეგ აღარ განმეორდეს. პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით განვსაზღვრეთ ჯგუფების რაოდენობრივი შემადგენლობა, კრებების, კონფერენციების მოწყობის ადგილი და ვადები.

კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების მოსამზადებლად და ჩასტარებლად პარტიის რაიონულ კომიტეტს დამტკიცებული გრაფიკით მიმაგრებული ჰყავს რაიკომისა და რაიაღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები. ახლა ხასტემატურად ვისმენთ სახალხო კონტროლის ჯგუფების, [illegible] დომარეთა ანგარიშებს, [illegible] არიშო-საარჩევნო [illegible] ვის მზადების შესახებ. ისიც აღსანიშნავია, რომ არჩევნებთან დაკავშირებით მოვაწყვეთ სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა და შტატგარეშე აქტივის დარგობრივი საინსტრუქტაჟო თათბირები. ერთგვარი მუშაობა გავწიეთ სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა სრულყოფილი საანგარიშო მოხსენებების მოსამზადებლად, კრებების წარმართვის, კრიტიკული შენიშვნების გაფორმებისა და კომიტეტში საანგარიშო-საარჩევნო კრებების შესახებ ინფორმაციების წარმოსადგენად. პარტიის რაიკომმა მოისმინა სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ანგარიში არჩევნებისათვის მზადების შესახებ და პარტიულ ორგანიზაციებს მითითება მისცა ამ ძნიშვნელოვანი ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

ცხადია, მომავალი არჩევნები უზრუნველყოფს ახლად არჩეული სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების თვისებრივი შემადგენლობისა და სტრუქტურის სრულყოფასა და დახვეწას, საკონტროლო საქმიანობის დონის შემდგომ ამაღლებას.

თ. ჯელიძე,
თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

1981 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" სამმართველო აპარატის სრულყოფისა და გაიაფების თაობაზე პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ. ამჯერად კი რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა იმაზე, თუ როგორ სრულდება ეს დადგენილება და რა შედეგები მოგვცა განეულმა მუშაობამ.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტისა და რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ერთობლივმა შემოწმებამ ცხადყო, რომ „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" სამმართველო აპარატის სრულყოფისა და გაიაფების თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესასრულებლად განეული გარკვეული მუშაობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს, ხარვეზებს. სამმართველო აპარატის თანამშრომელთა რიცხვი მუშაკთა საერთო რაოდენობის 18,1 პროცენტს შეადგენდა, მაშინ, როცა რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში იგი საშუალოდ 15,8, ხოლო სსრ კავშირის „მონტაჟსპეცმშენის" სამინისტროს სისტემაში — 17,92 პროცენტი იყო. ზემდგომ ორგანოთა მითითების საწინააღმდეგოდ ნორმებს აღემატებოდა ხელმძღვანელი მუშაკთა რაოდენობაც.

არ იყო აგრეთვე შესრულებული სსრ კავშირის „მონტაჟსპეცმშენის" მთავარი სამმართველოს ბრძანება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერებისა და დაგეგმვის გაუმჯობესების შესახებ. დამთავრებული არ ჰქონდათ გენერალური სქემის სრულყოფის ღონისძიებათა დამუშავება და მართვის 2-3-რგოლიან სისტემაზე გადასვლა, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებდა სამმართველო აპარატის სტრუქტურას და დაზოგავდა 150 ათას მანეთს.

შემოწმებით დამოირკვა, რომ სამმართველო აპარატის შენახვაზე დამტკიცებული ზღვრული ასიგნების გადამეტებით დაიხარჯა 152 ათასი მანეთი. დიდი გადახარჯვები დაუშვეს „საქმეაანომონტაჟის" ტრესტმა, მთავარი სამმართველოს აპარატმა, „საქსანტექმონტაჟის" ტრესტის თბილისისა და რუსთავის სამონტაჟო სამმართველომ, ქუთაისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს „ფოლადკონსტრუქციამ" და სხვებმა.

ნაკლოვანებანი აღმოჩნდა სამსახურებრივი სარგებლობის მსუბუქი ავტომანქანების შენახვისა და სამსახურებრივი მივლინებებისათვის სახსრების ხარჯვის საქმეშიც.

შემოწმების შედეგების შესახებ მიღებული დადგენილებით განისაზღვრა კონკრეტული ღონისძიებები „საქმთავარმონტაჟსპეცმშენში" არსებულ დარღვევათა და ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ. კომიტეტმა „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" მთავარ სამმართველოს უფროსს გ. გამყრელიძეს მოსთხოვა მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში სახელმწიფო დისციპლინის დამყარება. სათანადო სასჯელები დაედოთ თანამდებობის პირებს.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ აღნიშნული ორგანიზაციის ხელმეორე შემოწმებისა და ახლანდელ კომიტეტის სხდომაზე „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" უფროსის პირველი მოადგილის ი. კაკაურიძის ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ნათელი გახდა, რომ „საქმთავარმონტაჟსპეცმშენ ი ს" ხელმძღვანელობამ გარკვეული მუშაობა გასწია საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად.

თავის დროზე „საქმთავარმონტაჟსპ ე ცმშენის" სამმართველოში გამ ა რ თულ გაერთიანებულ სხდომაზე განხილეს კომიტეტის დადგენილება. დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავდა კონკრეტული გეგმა, დანესდა სისტემატური კონტროლი მისი შესრულებისადმი. ასეთმა მუშაობამ უზრუნველყო სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა რეალიზაცია.

„საქმთავარმონტაჟსპეცმ შ ენში" აპარატის მუშაკთა ხვედრითი წილი მუშაკთა საერთო რაოდენობაში 17,7, ხოლო ხელმძღვანელების რაოდენობა 18,8 პროცენტამდე შემცირდა. გამოთავისუფლდა სამმართველო აპარატის 21 საშტატო ერთეული, რეალიზებულია გამოთავისუფლებული 15 ავტომანქანა, მოგვარდა მსუბუქი ავტომანქანების შესანახი ხარჯების, საწვავ-საპოხი მასალების ხარჯვის აღრიცხვის საკითხი.

ანგარიშვალდებულ ღონისძიებათა შედეგად სამმართველო აპარატის შესანახი სახსრების ხარჯვაში მიღწეულია 53 ათასი მანეთი ეკონომია, შესრულდა სახელმწიფო დავალებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა ცნობად მიიღო „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" უფროსის მოადგილის ი. კაკაურიძის ინფორმაცია დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე დაპირება, რომ კვლავ განხორციელდება საჭირო ღონისძიებანი სამმართველო აპარატის სრულყოფისა და გაიაფების თაობაზე პარტიისა და მთავრობის მითითებათა უზრუნველსაყოფად და გამოცხადებული საყვედურები მოეხსნათ „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" მთავარ ბუღალტერს გ. ხაზარაძეს და გაფრთხილებათა უფროსებს გ. ტერტერიანს და გ. ფულარიას.

შემოწმების ქმედითობა

როგორ ვასრულებთ მიღებულ დადგენილებებს?

მთავრობის დადგენილებათა შესასრულებლად განეული გარკვეული მუშობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს, ხარვეზებს. სამმართველო აპარატის თანამშრომელთა რიცხვი მუშაკთა საერთო რაოდენობის 18,1 პროცენტს შეადგენდა, მაშინ, როცა რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში იგი საშუალოდ 15,8, ხოლო სსრ კავშირის „მონტაჟსპეცმშენის" სამინისტროს სისტემაში — 17,92 პროცენტი იყო. ზემდგომ ორგანოთა მითითების საწინააღმდეგოდ ნორმებს აღემატებოდა ხელმძღვანელი მუშაკთა რაოდენობაც.

არ იყო აგრეთვე შესრულებული სსრ კავშირის „მონტაჟსპეცმშენის" მთავარი სამმართველოს ბრძანება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერებისა და დაგეგმვის გაუმჯობესების შესახებ. დამთავრებული არ ჰქონდათ გენერალური სქემის სრულყოფის ღონისძიებათა დამუშავება და მართვის 2-3-რგოლიან სისტემაზე გადასვლა, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებდა სამმართველო აპარატის სტრუქტურას და დაზოგავდა 150 ათას მანეთს.

შემოწმებით დადასტურდა, რომ სამმართველო აპარატის შენახვაზე დამტკიცებული ზღვრული ასიგნების გადამეტებით დაიხარჯა 152 ათასი მანეთი. დიდი გადახარჯვები დაუშვეს „საქმეაანომონტაჟის" ტრესტმა, მთავარი სამმართველოს აპარატმა, „საქსანტექმონტაჟის" ტრესტის თბილისისა და რუსთავის სამონ-



60 ტონაზე მეტი ფერადი ლითონი, ათიათასობით მანეთის საიზოლაციო მასალა დაზოგეს ზესტაფონის სსრ კავშირის 80 წლისთავის სახელობის ქარხანა „ხაქკაბელში". ამ წარმატებას მიაღწიეს სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრთა ნაყოფიერი საქმიანობით, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან მასალების უყირათიანი ხარჯვისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ახლა ქარხნის მთელი პროდუქციის სამი მეოთხედი საპატიო ხუთკუთხედიანია.

სახალხო კონტროლის ჯგუფის ინიციატივით საწარმოში მოგვარდა ბაღ-ბოსტნების მოსარწყავი შლანგების გამოშვება, რომლებიც საიზოლაციო მასალების ნარჩენებისაგან მზადდება.

ხერათზე: სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები (მარცხნიდან): ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსი ამირან ჩაფიჩაძე, ზეინკალი გულადი ჯიბავშვილი, ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ოთარ ფერაძე მორიგი რეიდის დროს.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კარგი მოქმედი

თენგიზ გელეიშვილის ბიოგრაფიიდან: დაიბადა 1940 წელს თბილისში, 1962 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიისა და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი. ახალგაზრდა ინჟინერ-ტექნოლოგი კაზრეთში ნავიდა სამუშაოდ. მაშინ იქ საცდელ-მამდიდრებელი ფაბრიკა იყო (მის ბაზაზე აშენდა მერე დიდი კომბინატი). მუშაობდა ქიმიური ლაბორატორიის გამგედ, ცვლის უფროსად, ცვლის ოსტატად.

აი უკვე მერვე წელიწადია მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის მთავარ ინჟინრად მუშაობს.

1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ახლა თითქმის მზად აქვს სადოქტორო დისერტაცია.

რა მოგვცა თენგიზ გელეიშვილის მეცნიერულმა გამოკვლევებმა? ბინა ნაშრომის საფუძველზე შეიქმნა პრინციპულად ახალი ჰიდრომეტალურგიული ტექნოლოგიური სქემა მადნეულის სპილენძის კონცენტრატის და ჭიათურის მანგანუმის მადნების ერთობლივი გადამუშავებისა. ეს სქემა დაპატენტდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში. ამ სამუშაოსათვის მკვლევართა ჯგუფმა სახელმწიფო პრემია მიიღო. მათ შორის იყო თენგიზ გელეიშვილი.

ახლა იმის შესახებ, რაც ბიოგრაფიაში არ იწერება:

თენგიზ გელეიშვილი საინტერესო კაცია. მრავალმხრივ განათლებული, ჭკვიანი მოსაუბრე და, რაც მთავარია, ადამიანი, ძალზე საქმიანია. ყველაფერს კეთილსინდისიერად აკეთებს. ვინ შეგძინათ ეს თვისებები? — ჰკითხეს ერთხელ მეგობრებმა. — დედამო, — უპასუხა, რა თქმა უნდა, ბავშვს მამაც ზრდის, მაგრამ ბავშვისთვის მთავარი გამზრდელი დედაა. ასე სჯერა თენგიზ გელეიშვილს. მისი ეს აზრი იქნებ სადავოც იყოს, მაგრამ სასიამოვნო ფაქტს ვერსად გაექცევი. დედამ კარგი ყმა გაუზარდა ქვეყანას. ეს ყმა ახლა დღედაღამ მადნეულის სამთო-მამდიდრებელ კომბინატში მუშაობს. ღირსეულად უდგას მხარში დიდად გამოცდილ სპეციალისტს, კომბინატის დირექტორს აბესალომ ჭანტერიას.

თენგიზ გელეიშვილი ყველა საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებს-თქო, ნელან მოგახსენეთ. თურმე იგი სახალხო კონტროლიორების სკოლის საუკეთესო პროპაგანდისტიც ყოფილა. ჩვენც ამჯერად მისი საქმიანობის ეს სფერო გვაინტერესებს.

გოლნისის რაიონის მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის სახალხო კონტროლიორთა სკოლაში გაერთიანებულია მეთაური ჯგუფის 23 წევრი. აქვე მეცადინეობენ კიდევ იმ უბნების კონტროლიორები, სადაც არ ჰყავთ დამოუკიდებელი სასწავლო ჯგუფები. ასე რომ, თენგიზ გელეიშვილი სახალხო კონტროლიორის მუშაობას თითქმის 35 კაცს ასწავლის.

საერთოდ მეცადინეობა ოქტომბერში იწყება ხოლმე. ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათი დთქმულია თავშეყრისა და მეცადინეობის დროდ. სასწავლო თემატიკას თავად საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი ამუშავებს.

— რა პრინციპს იმარჯვებთ სამეცადინოდ? — ვკითხეთ კონტროლიორთა სკოლის პროპაგანდისტს თენგიზ გელეიშვილს.

— უწინარესად საჭიროა კონტროლიორის თეორიული მომზადება, — გვითხრა პროპაგანდისტმა. — სახალხო კონტროლიორმა რომ საქმეს კარგად გაართვას თავი, მას მომამარჯვებული უნდა ჰქონდეს კონტროლის ენინური პრინციპები, უნდა იცოდეს, თუ კონკრეტულ შემთხვევაში კომუნისტური პარტია რა ამოცანებს უსახავს სახალხო კონტროლიორებს.

საერთოდ კი კონტროლიორთა მუშაობას განამტკიცებს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ის პუნქტი, რომელიც სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კანონად არის ჩამოყალიბებული. ამ კანონმა უფრო მეტი უფლებამოვალეობანი დააკისრა სახალხო კონტროლის ჯგუფებს.

დღევანდელ ეტაპზე სახალხო კონტროლიორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სამთო-ენერგეტიკული რესურსების ყაირათიან გამოყენებას. ამის შესახებ იყო ლაპარაკი სკკპ XXVI ყრილობაზე. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საგანგებო დადგენილებაც კი მიიღეს. სამთო-ენერგეტიკული მასალების ყაირათიანი ხარჯვა მოითხოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა.

ამ მოთხოვნების შესაბამისად მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი ყოველწლიურად ამუშავებს თავის საქმეშედო გეგმას, რომლის განხორციელებაში დიდ როლს ასრულებენ სახალხო კონტროლის ჯგუფები. ყველა სამსახური — იქნება ეს ენერგეტიკული, მექანიკური თუ ტექნოლოგიური — წარმოდგენს თავისი ღონისძიების პროექტს. მას განიხილავს კომბინატის ხელმძღვანელობა და ამტკიცებს. ეს ღონისძიებანი კონკრეტულად ითვალისწინებს იმ სამუშაოთა მოცულობას და შინაარსს, რომელთა მიზანია სამთო-ენერგეტიკული მასალების ყაირათიანი გამოყენება და ამის შედეგად მიღებული კონკრეტული ეფექტი. ერთი სიტყვით, მთელი მექანიზმი ისე უნდა მუშაობდეს, რომ სამობი დაიზოგოს. ეს საქმე კი პირდაპირ თვითღირებულების შემცირებას გვაძლევს. პროდუქცია იაფდება.

თენგიზ გელეიშვილი, როგორც კონტროლიორთა პროპაგანდისტი, ცდილობს, მსმენელებს გაუვითაროს პროფილაქტიკური ჩვევები. ამით კი თავიდან იქნება აცილებული დანაშაულობანი. თუ კონტროლიორი დარღვევებს აღმოაჩენს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი კარგად მუშაობს. სრულყოფილი მუშაობა იმას გულისხმობს, რომ კონტროლიორი წინასწარ ითვალისწინებს შესაძლო დანაშაულს და თავისი საქმიანობით მას თავიდან აიცილებს.

მადნეულელი პროპაგანდისტი მსმენელებს კონკრეტული მაგალითებით ასწავლის, თუ რას უნდა მიაქციონ მათ ყურადღება. კომბინატში რესურსების რაციონალური ათვისების თვალსაზრისით სხვა პრობლემებთან ერთად მუშავდება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სპილენძის მადნის ნარჩენების გამოყენების საკითხი.

სახალხო კონტროლიორების მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება იმით გამოიხატება, რომ სწავლობენ იმ ორგანიზაციულ და ტექნიკურ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს ამ პრობლემის დადებითად გადაჭრას. დღეისათვის მადნეულელ კონტროლიორებს ეს საკითხი თეორიულად უკვე შესწავლილი აქვთ მეცადინეობებსა და სემინარებზე.

ჩვენ ვთხოვეთ კონტროლიორთა პროპაგანდისტს დაესახელებინა ორი მაგალითი იმისა, თუ როგორ გამოიყენეს თეორიული ცოდნა პრაქტიკულად. თენგიზ გელეიშვილმა სიამოვნებით გვიამბო, თუ როგორ არეგულირებენ მისი მსმენელები დიდი თვითმცლელების საწვავ სისტემას მათი ტექნიკური მონაცემების მიხედვით. შედგენილ სალმიტო ბარათები, რომელთა მიხედვითაც სამუშაოზე გასვლის წინ მძღოლები იღებენ იმდენ საწვავს, რამდენიც სჭირდებათ მოცემულ ტრასაზე ტვირთის გადასაზიდად. ამით მარტო შარშან 600 ტონამდე საწვავი დაზოგეს.

სახალხო კონტროლიორთა მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე ნიკოლოზ კურზიაკოვი სპეციალობით ენერგეტიკოსია. მან შეამჩნია, რომ იგივე „ბელაზებს" ხშირად უფუჭდებათ ელექტროგაყვანილობის კვანძი. ნიკოლოზმა ეს უკვე თავის გასაკეთებელ საქმედ მიიჩნია. იმუშავა და გააკეთა ახალი კონსტრუქციის კვანძი, რომელიც უფრო მარტივიც არის და უფრო გამძლეც. ამის შემდეგ ჩვენი „ბელაზები" აღარ ცდებიან. არადა, ძალიან ბევრს ვზრარალობდით — ზოგჯერ 4-5 მანქანა გაჩერებული გვყავდა.

საერთოდ, პროპაგანდისტს სამუშაო თემები წინასწარ ეძლევა. მერე თენგიზ გელეიშვილი ამ თემებს ამუშავებს და კონტროლიორებს ასწავლის. რა თქმა უნდა, მეცადინეობაზე ყოველთვის ხელმძღვანელობენ მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის წინაშე დასახული კონკრეტული ამოცანებით. როცა რომელიმე კონკრეტულ თემას გაამჟღავნებს, მერე პროპაგანდისტი მსმენელებს იმის შესახებ ალაპარაკებს, თუ რა მდგომარეობაა მათს უბნებზე. ამ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით. სახალხო კონტროლიორები ამით სასურველ პარალელებს ეძებენ ხოლმე და უკვე იციან, თუ რაზე და როგორ დასჭირდებათ შემდგომში მუშაობა.

მერე სემინარებზე ეძლევათ გარკვეული ამოცანა, რომლის არსი ის გახლავთ, თუ როგორ უნდა გამოავლინონ ხოლმე დარღვევები. კონტროლიორმა უნდა იცოდეს, რომ თუ ამოცანის პირობის თანახმად, ერთი „ბელაზი" 100 კილომეტრზე 140 ლიტრ საწვავს ხარჯავს, ხოლო მთელი ავტოპარკის მანქანებმა ერთად გაიარეს ამდენი და ამდენი კილომეტრი და გადაზიდეს გარკვეული რაოდენობის ტვირთი, დახარჯული საწვავის ოდენობით ეკონომია გაკეთდა, თუ საწვავის გადახარჯვასთან გვაქვს საქმე?

ამისათვის კი კონტროლიორი უნდა ერკვეოდეს იმაში, თუ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ კონკრეტულ უბანზე და საქმეზე საწვავ-საპოხი მასალების ხარჯვის როგორი ნორმატივებია დაწესებული, მეთოდიკაც უნდა მოიმარჯვოს შესამოწმებლად.

აი ამ პრინციპებით ასწავლის მადნეულელი პროპაგანდისტი სახალხო კონტროლიორებს.

ჯ. ჟურხული,
„კომუნისტის" საკ. კორ.

* * *

რედაქციის მინაწერი: ეს მასალა უკვე გამზადებული იყო, როდესაც შევიტყეთ, რომ თენგიზ გელეიშვილი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილედ დაუწინაურებიათ. ამაზე ჩვენს გაზეთში უკვე ქრონიკაც გამოქვეყნდა. მიუხედავად ამისა, რედაქციამ მაინც მიიჩნია საჭიროდ მასალის გამოქვეყნება, რადგან იგი კარგ სამსახურს გაუწევს იმათ, ვინც სახალხო კონტროლიორთა სწავლების სისტემაში პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა.

მუშური სინდისის ძალა

დისციპლინა, ფესვიგი მთავარი საზრუნავია

თბილისის 143 სამშენებლო ორგანიზაციიდან ერთ-ერთ უძველესთაგანად მე-14 ტრესტი ითვლება. ეს კოლექტივი, რომელშიც, 3.000-მდე კაცია, ფართოდ გამოეხმაურა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის მიმართვას რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი.

დიმიტროველთა ახალ პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ უჭერენ მხარს ტრესტის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე ა. თაბაგარი. მართლაც, როგორც ეს ნოემბრის პლენუმზე ითქვა, ბევრ რამეში ვერ გვაკმაყოფილებს სამშენებლო საქმის ორგანიზაცია, დაბალია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი.

ამ მხრივ მშენებელ კონტროლიორთა აზრს კარგად გამოხატავს მეორე სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ა. დიხტიარი. იგი ამბობს: შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის შესუსტების გამო ხდება, რომ არც თუ იშვიათად მოგვდის დაბალი ხარისხის სადურგლო ნაწარმი, ხე-ტყე, ინერტული მასალები, ვთქვათ, ტიხრები რუსთავიდან, პარკეტი — ახმეტიდან და ცხინვალიდან. სამწუხაროდ, იძულებული ვართ ვაშენოთ ასეთი მასალებით. რადგან ტიხრები დაინყო პარტიული, გულახდილი მსჯელობა დისციპლინაზე, მართლაც, ბოლო დროს ზოგან შესუსტდა მომთხოვნელობა, ნესრიგი. ხშირია პირად საქმეებზე სამუშაოდან ნებართვიანი თუ უნებართვო წასვლა. ეს არის სამუშაო დროის აშკარა ფლანგვა, დაკარგული პროდუქცია, დაუმთავრებელი სართული, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი. თუ კრიტიკულად განვსაჯეთ, ზოგიერთი მართლაც იძულებულია სამუშაო საათების ხარჯზე მოაგვაროს ესა თუ ის პირადი საქმე, რადგან ჩვენში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული მომსახურების სფერო.

ჩვენ, მშენებლებს, უმთავრესად დედაქალაქის განაპირა ადგილებში გვიხდება მუშაობა. ბევრი დავიდარაბა უნდა გადაიტანო, რომ, ვთქვათ, შემნახველ სალაროში შეიტანო კომუნალური გადასახადი, თუ ცხოვრობ ორჯონიკიძის რაიონში, ხოლო მუშაობ გლდანის ან ვაზისუბნის დასახლების მშენებლობებზე. რატომ? იმიტომ, რომ დაწესებულია გადასახადის შეტანა მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და იძულებული ხდები დაეთხოვო სამსახურიდან, რომ გლდანიდან ორჯონიკიძის რაიონში გაიმგზავრო ფულის შესატანად. ვფიქრობ, შეიძლება ასეთი ოპერაციის მოგვარება ყველგან, მიუხედავად იმისა, ცხოვრობ თუ არა იმ რაიონში, სადაც ეს შემნახველი სალარო მდებარეობს; ფულს სახელმწიფოს ვაბარებთ და მისი ჩაბარება ყველგან უნდა შეიძლებოდეს!

— დიმიტროველებმა ყველა მშრომელი ადამიანის სათქმელი თქვეს, — თქვა ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანმა თ ქორიძემ, — ჩვენთან პარტიული კრება, პარტიული კომიტეტის სხდომა საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების საკითხებს განიხილავს. ამ საქმეში თავის დროზე და აქტიურად აბამს სახალხო კონტროლიორებს, ყურად ვიღებთ მათს რჩევებსა და რეკომენდაციებს. ეს ხელს უწყობს ამა თუ იმ პირის მოდუნების, მოშვებულობის, უპატიოსნობის წინააღმდეგ ბრძოლას, მოაგონებს მათ, რომ დავალება მაღალხარისხოვნად უნდა შესრულდეს, უნდა ამაღლდეს პირადი პასუხისმგებლობა.

დიმიტროველთა მაგალითისამებრ, ახლებურად უდგებიან პარტიული, სახელმწიფო, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას ტრესტის ხელმძღვანელები, სამმართველოთა უფროსები, საწარმოო კომბინატების დირექტორები, პარტბიუროების მდივნები, ადგილკომების თავმჯდომარეები, სახალხო კონტროლიორები. ისინი მეტი სიბეჯითით ითვალისწინებენ ახალ მოთხოვნებს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომპლექსურ მიდგომას დისციპლინის განმტკიცების პრობლემებისადმი.

ᲩᲕᲔᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲔᲑᲡ

ᲒᲐᲒᲠᲐ. აქ დამთავრდა ტრადიციული VIII „გაგრის საუბრები“, რომელიც მიეძღვნა ადამიანისა და ცხოველთა ქცევის წარმმართველი ტვინის მექანიზმების შესწავლას. ორი კვირის მანძილზე საბჭოთა კავშირის წამყვანმა ნეიროფიზიოლოგებმა უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, ბელგიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის კოლეგებთან ერთად განიხილეს თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის აქტუალური პრობლემები.

მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ უმაღლესი ცხოველები გარემოს ეგუებიან არა მარტო ინდივიდუალურად შეძენილი პირობითი რეფლექსების მეშვეობით, არამედ ფსიქონერვული მოქმედების საფუძველზეც. მოიყვანეს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ცხოველს შეუძლია თვით აირჩიოს უფრო მოკლე, უხიფათო, მოხერხებული გზა მიზნის მისაღწევად, მისციოს ბუნების ზოგიერთ მარტივ კანონს და ამის გათვალისწინებით წარმართოს თავისი მოქმედება. ქცევის ასეთ ფორმას ეწოდა ელემენტარული გონებრივი მოქმედება.

„გაგრის საუბრების“ მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია ცხოველებისა და ადამიანის ქცევის შესწავლისადმი ნეიროფიზიოლოგიურმა მიდგომამ. მეცნიერებმა იმის დამამტკიცებელი საბუთები მოიყვანეს, რომ მთელი რიგი უახლესი პრეპარატების გამოყენების დროს უმჯობესდება თავის ტვინის ფუნქციური მდგომარეობა.

უჩვენეს ახალი ელექტროფიზიოლოგიური, პოლიგრაფიული, კომპიუტერული მეთოდები, რომლებიც ადამიანის ტვინის პირდაპირი გზით გამოკვლევისა და ზოგიერთი მარტივი ფსიქიკური ფუნქციის ობიექტურად შესწავლის საშუალებას იძლევა. აქამდე ადამიანის ტვინის ფსიქიკურ აქტიურობას მხოლოდ ფსიქოლოგიური ხერხით ან ცხოველებში აღმოჩენილი მონაცემების ადამიანებზე გადატანის საფუძველზე იკვლევდნენ. ამ მიმართულებით მუშაობაში მიღწეულ ახალ შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს მედიცინის, გამოყენებითი ფსიქოლოგიისა და რთული კიბერნეტიკული სისტემების შექმნისათვის.

ნეიროფიზიოლოგთა საერთაშორისო ფორუმის საბოლოო სხდომაზე საბჭოთა და საზღვარგარეთელმა მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ „გაგრის საუბრები“ მაღალ მეცნიერულ დონეზე წარიმართა და კარგად იყო ორგანიზებული.

ᲔᲥᲡᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘᲐ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲝᲪᲮᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ცნობილი მხატვრის პეტრე ოცხელის დაბადების 75 წლისთავს მიეძღვნა მისი ნამუშევრების გამოფენა, რომელიც სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიხსნა. იგი მოეწყო საქართველოს თეატრალური საზოგადოების, მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილებისა და თეატრალური მუზეუმის ინიციატივით.

გამოფენაზე წარმოდგენილია დაახლოებით 300 ნაწარმოები — ფერწერული ტილოები, სპექტაკლების დეკორაციები, კოსტიუმების ესკიზები.

გამოფენა ერთ თვეს გასტანს.
(საქინფორმი).

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96.
ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲒᲔᲑᲚᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡ — 99-66-10, ᲓᲐᲜᲘᲡᲣᲤᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲔᲠᲩᲔᲚᲘᲡᲬᲣᲚᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 93-22-93, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲐᲒᲐᲜᲗᲝ ᲛᲣᲨᲔᲝᲑᲚᲝᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐ — 99-05-29, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲤᲝᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 93-95-24.

ᲡᲐᲙᲝᲠᲘᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — 431-08-52; ᲡᲝᲩᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ — 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-03-15; ᲤᲝᲗᲘ — 5-58-69; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ — 39-55; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 12-09; ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲑᲣᲘᲑᲘᲨᲘ — 25-82.

ᲨᲢᲠᲘᲮᲔᲑᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲔᲚᲘᲡ ᲒᲝᲠᲘᲓᲐᲜ

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი ნმინდა,
გულს სინმინდით ახურებდეს!

ერთი ჰქონდეს მას საგანი —
ჰარმონია მისი ხმების,
ცხოვრებაში იყოს ბანი,
ხან ლხენის, ხან მწუხარების!

ᲐᲥᲐᲙᲘ

✦ ✦

...**ᲘᲐᲥᲛᲝᲜᲘ** დილით გალობს. დებს კი საღამოობით დასჩემდათ სიმღერა. ისე შეეჩვიენ ამ ნეტარებას ქუთათურები, გვიანობამდე სეირნობდნენ ხოლმე, ოღონდ დიდხანს ესმინათ ეს ხმები. ჭაბუკ გალაკტიონსაც ღამ-ღამობით გაგონილი საგალობლები დაამახსოვრდა სამარადისოდ.

არქიელის გორა, ცაცხვის ხეები, ფანჯრებგაფრიალებული სახლი...

...სევდამორეული დაბრუნდა ქალბატონი თამარი არქიელის გორიდან, სადაც მოინახულა ბავშვობის-დროინდელი სახლი, თუმცა ცოტა სახეშეცვლილი, მაინც მშობლიური (ადამიანებიც ხომ იცვლებიან!)...

ეს იყო ორი წლის წინათ, როდესაც თამარ იშხნელი კარგა ხნის უნახავ ქუთაისს ეწვია და, რა თქმა უნდა, იყო... მაისი...

ერთი ეპიზოდი გამახსენდა. იგი ეხება გიორგი ლეონიძის ერთერთ ჩინებულ ლექსს, რომელიც იშხნელთა ეშხით დაუწერია პოეტს მაისის ერთ მშვენიერ საღამოს დასავლეთ საქართველოში მათთან ერთად მოგზაურობის დროს. ლექსი, რომ გამოქვეყნდა, სწორედ იმ ხანად საგაზეთო ინტერვიუსთვის ვეწვიე ბატონ გიორგის.

ვლელავდი, მაგრამ მასპინძლის უშუალობამ მალე გაფანტა ეს მღელვარება, კიდეც წავთამამდი, ის ახლადდაბეჭდილი „მეგარის ჩრდილებში“ გავიხსენე და შევუე, — მარტო სათაური ღიღადმეოქი ერთ ლექსად!

მართლა ასე მოგეწონა? აბუბუნდა ჩვეულებისამებრ პოეტი და სიამოვნების ღიმილმა გაუნათა სახე, თან რაღაცის ძებნას შეუდგა წიგნის თაროზე. რამდენიმე წიგნი გადმოიღო, გადაფურცლა, თურმე ამ ლექსის დედანს ეძებდა. — რაკი ასე მოგწონებია, სადღაც აქ „თავი“, მეგულება და გაჩუქებო. ძებნა განაგრძო და რომ მიაგნო გულზე მოქეშვა, ასე მომაკვნა გულითადი წარწერით ხელნაწერი, როგორც მისი პოეზიისა და იშხნელების თაყვანისმცემელს. ხელი მოაწერა, დაათარიღა, ერთხელ კიდევ ჩაიკითხა:

მაისურ ღამის მთვარის
ჩრდილები
ბადრის ტოტებში
გარინდულიყო,
მე კი ვისმენდი დამორჩილებით
იშხნელთა გუნდის მკვნესარ
სულიკოს“...

...დამორჩილებითო... მისი ბუბუნი კვლავაც ჩამესმის.

ეს „ამბავი გავიხსენე თამარ იშხნელის შემოქმედებით საღამოზე ქუთაისში და მერე იშხნელთა ხმაზე აწყობილი ჩემი ლექსი „რომანსეროც“ წავუკითხე.

დაუვიწყარია ის საღამო. სცენაზე, ორი-სამი ადამიანის გარდა, სულ იშხნელთა მოდგმა იყო, ოთხი თაობა — და დიდიან-პატარიანი ყველა მომღერალი!

ავანსცენაზე ოთხი სკამი და... ერთად-ერთი — თამარქალი.

„სულიკო“ იყო ბოლო სიმღერა და თამარ იშხნელის თხოვნით მთელმა დარბაზმა იმღერა ერთსულოვნად, ადგნენ ქუთათურები და ისე იმღერეს დიდი მოწიწებისა და თაყვანისცემის ნიშნად!

რაღა თქმა უნდა, ხელოვნის საქვეყნო აღიარება წოდების მინიჭებამდე ბევრად ადრე ხდება. იშხნელების ხმა და სახელი ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდან ისმის და მათი სიმღერები არქიელის გორიდან მთელ საქართველოს გადაწვდა...

ჯერ თამარი, ნინო, ზინაიდა, ალექსანდრა, ალექსანდრას დაკარგვის შემდეგ კი მარიამი.

— მარიამი ყველაზე კარგად მღეროდა, მაგრამ ვერ იცლიდა ხოლმე... ხმადაბლა ამბობს თამარ იშხნელი, ჩემებრ კონტრალტ ჰქონდა, ხანდახან დებს მოძახილსაც ვეუბნებოდით!

ფების დედასიმღერა „სულიკო“ იყო. მერე „ციცინათელა“. ამ სიმღერებით გამოვიდნენ ისინი 1915 წელს ქუთათურების წინაშე, რასაც ლიტერატურული და თეატრალიზებული საღამოებიც მოჰყვა, უპირველესად — გალაკტიონისა. უთუოდ მწერლობასთან. თეატრთან სიახლოვემაც განაპირობა მათი ლიტერატურული გემოვნება და გეზი, — მუდამ რჩეული და ნატიფი რეპერტუარი.

მენინშნა ალ. იმედაშვილის მოგონებიდან ეს ეპიზოდიც:

„7 აპრილს (1901 წ.). ლადომ დადგა „უბედური ნაბიჯი“ ნუცა ჩხეიძის მონაწილეობით. თუმცა ნუცას შესახებ ბევრი მჭონდა გაგონილი, მაგრამ ჯერ არ მენახა და მხოლოდ მაშინ გავიცანი. მე თავისუფალი ვიყავი და პარტერიდან ვუყურებდი. მესამე მოქმედებაში კულისებიდან მოისმა სიმღერა „მხოლოდ შენ ერთს“, რომელიც შემდეგ მთელ საქართველოს მოედო და დღესაც კი ბევრნი მღერიან. ამ სიმღერის დროს სცენაზე ვარვარა-ნუცა ჩხეიძე ედო უბედურებას განიცდის, კაბის გულისპირს იგლეჯს და სიგიჟემდე მიდის“.

თამამად შეიძლება ითქვას, ეს სიმღერა რომ მთელ საქართველოს მოედო, ისევ და ისევ იშხნელთა წყალობით!

საიდან მოედინებიან ეს ნაკადულები? დედა — ვასასი ლოლაძეა თავი და თავი!

კონსტანტინე ლოლაძის სამიეე ვაჟი და ერთი ქალი შეხმატკბილებული სიმღერით ყოფილან ცნობილი. ტანწერწეტა, ლამაზი ვასასი პეტერბურგის კადეტთა კორპუსის ახლადკურსდამთავრებულმა ალექსანდრე იშხნელმა რომ ითხოვა, მალე დაწერილშვილდა. ათი შვილი გაზარდა ბედნიერმა ცოლ-ქმარმა. შვილების აღზრდაში სიმღერაც შველოდა ვასასის, მეუღლესაც უყვარდა მისი სიმღერა.

—დედა სამივე ხმას მღეროდა, — თქვა თამარმა. — კარგად მახსოვს აკაკის „სიზმარს“, „სანამ ვიყავ ახალგაზრდას“, და „ყმაწვილ ქალს“ (ყოველ სნეულებაზე სიყვარული ძნელია“...) რომ ამღერებდა გიტარაზე, მისგანვე ვისწავლე „სალამს გიძღვნი, მშვენიერო“. სხვათა შორის, მუსიკა „ყმაწვილი ქალის“ დედას ეკუთვნის.

აკაკის, გრიგოლ აბაშიძის, გიორგი შერვაშიძის, შალვა დადიანის, იოსებ გრიშაშვილის ლექსებთან ერთად ქუთათურებმა მშვენიერ რომანსებად აქციეს იასონ გელოვანისა და ქრისტინე ლორთქიფანიძის ლექსები. ქრისტინე ლორთქიფანიძე, ავტორი ლექსისა „ღმერთი რომ ვიყო“, დედაა ფუცუ დგებუაძე-ფულარიანი. იშხნელების უფროსი ასული ვალენტინა დგებუაძეების რძალი გახდება და მალე ფუცუ დგებუაძე-ფულარია ქართველ ქალთა ამ მშვენიერი კრებულისათვის საგანგებოდ დაწერს სასიმღერო ლექსს და აკვნესდება შვიდსიმიანი გიტარა: „შორი გზიდან სატრფოს ველ, სხვა მოდის და ის კი არა“... თითქოს საგანგებოდ მათთვის შეიქმნა იოსებ გრიშაშვილის „რომანსი“ — „შენ ხარ ოცნება ამქვეყნიური, შენ ხარ ოცნება ნაზი, ციური... შენ ხარ მთის წყარო ტკბილმოკაშკაშე... თავს შემოგეკვლე, შენი კვნესამ...“ ამას ფუცუ დგებუაძე თავის ლექსს წაუმღერებს და ორიგინალურ, ემოციურ კომპოზიციას პირველად დები ასრულებენ.

სიმღერა რომ დავიწყეთ, მამასაც ძალზე უხაროდა. თვითონ არ მღეროდა, მაგრამ ცოთმილ ხმას უმალ გამოარჩევდა და შეგვაჯერებდა. მერე დედა მოგვეშველებოდა.

— ვასასი ბეგია ისე მღეროდა, ნემსის ყუნწში გაძვრებოდაო, — ეს მარიამის ქალიშვილის ქეთო ხუციშვილის სიტყვებია...

ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ იშხნელების ოჯახში თვით აკაკი წერეთელი ბრძანდებოდა ხოლმე, ამ ოჯახის ახლობელი იყო ვარინკა მაჭავარიანი-წერეთელი, რომელმაც გაამეცნია „სულიკო“ და დედაზე არანაკლები ამაგი დასდო პატარა მგალობლებს.

და-ძმაში თავიდანვე თამარი თამამობდა. შესწავლილ სიმღერას ის უზიარებდა მათ, ლოტბარობდა. გულში ყველა მომღერლობაზე ოცნებობდა! სენსაციური იყო იშხნელთა საღამო გუნდის გამოსვლა ქუთაისის თეატრში 1911-12 წლებში. დედას მხარს უმშვენებდა 3 ვაჟი და 7 გოგონა. მაშინ გაისმა „ტურფავ, ტურფავ“, „გული მიწუხს“, „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“.

საბოლოოდ ოთხნი შეკავშირენენ, დაოჯახებისა და თბილისში გადმოსვლის შემდეგაც არ შეპარვია ბზარი მათ ერთობას, ჭირში და ლხინში სიმღერა იყო მათი განუყოფელი მეგობარი.

იშხნელები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობენ, ხოლო მათი სიმღერა მთელი საქართველოს კუთვნილებად იქცა, როდესაც ღვთაებრივი ხმები რადიოს მეოხებით მოეფინა ჩვენს მთასა და ბარს. 1940 წლიდან დები საქართველოს რადიოკომიტეტში მიიწვიეს და მაშინ ხანდახან მათთან ერთად ვალენტინაც მღეროდა თურმე, — სილამაზით განთქმული უფროსი და.

დებმა თავიდანვე ქართული ხალხური და კლასიკური პოეზიის შედევრები ამღერეს. აკაკის, ილიას, ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ აბაშიძის, შალვა დადიანის, იოსებ გრიშაშვილის, გალაკტიონ ტაბაძის, მოგვიანებით ლადო ასათიანის ლექსებია მათი შთაგონების წყარო. ხშირად ვარინკა წერეთელს, ია კარგარეთელს, ი. რონინიშვილს გვერდით თვით დები გვევლინებიან ამ რომანსების ავტორებად, თავის მეორე მოძეული ქართული ხალხური სიმღერის საფუძველზე ამყნიან ისინი საკომპოზიციო ჩანაფიქრს და ასე ძალდაუტანებლად, გულდაგულ ქმნიან რომანსს ახალ სახეობას გიტარის თანხლებით. ამ ოთხეულის რომანსები უკვე ქართული სიმღერის ახალი ჟანრია და იგი აღემატება ქალაქურ ფოლკლორს და სრულიად გამოკვეთილი ეროვნული მელოსით, დახვეწილი პოეტური ფორმით და ხმათა გარდამავალი ელვარებით უნიკალური მოვლენაა.

...როგორ ელავს თამარ იშხნელის თვალები ძველებური ეშხით და სიამაყით, სხვის ლამაზ ხმას რომ უსმენს. ამ მხრივ იგი უბედნიერესი ქალია — მას შეუძლია გული დაიიმედოს, რომ საქართველოში დამკვიდრდა იშხნელური სასიმღერო სკოლა, იშხნელების რეპერტუარი, რომ მას ჰყავს მიმდევარ-გამგრძელებლები ქალიშვილის ლილი დეისაძისა და შვილიშვილის მანანა მენაბდის, ანდა თავისი დიდი მოდგმის სახით (რომლის უმრწემესს „ბითლზების“ სიმღერაზეც კი ეუბნება ბანს!), არამედ მთელ საქართველოში, და ვინც იცის, რამდენი ამღერდება კიდევ იშხნელთა ეშხით, იშხნელთა ხმაზე...

შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი
დაჰკა, დაჰკა, დაირახა,
თუ ხარ საქართველოს შვილი,
ნუ მომაკლებ მაგ ტკბილ
ხმახა...

დღეს უკვე აუცილებელია ვიზრუნოთ იშხნელების ილუსტრირებულ ქრესტომათიაზე, რომელშიც აისახება ქართული სარომანსო სკოლის თითქმის საუკუნოვანი ხმა — დაიბეჭდება ლექსები, ტექსტი კომენტარებით, არსებული ნოტები. ასეთი წიგნი მკაფიოდ წარმოაჩენდა ქართული რომანსის განვითარების გზასაც და იშხნელთა დიდ ეროვნულ ღვაწლს, თანაც ხელს შეუწყობდა უამრავ მოყვარულს ამ სიმღერების პროფესიულად ათვისებაში.

მცირე გადახვევა: ეს წერილი აქამდეც უნდა დამეწერა, მაგრამ, ალბათ, ამ დღეს ველოდი,როდესაც ხელახლა უნდა გამობრწყინებულიყო თამარ იშხნელის იშხნელობა! 21 იანვარს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი ღელავდა თამარქალის გამოჩენის მოლოდინში, და ისიც, 80 წელს გადაბიჯებული, მხნე, ღიმილით გამოხმობილადა სცენაზე, სადაც ისხდნენ მისი სულიერი მემკვიდრეები, მისი ახალი პარტნიორები,და ელოდნენ მის პირველ სიმღერას, რომ მასზე „ეეწყოთ ჩინგური“... ოღონდ ჯერ ისევ ოთხივე დას უნდა ემღერა ერთად... ეკრანზე... ასე რომ, საღამო დაიწყო და დამთავრდა აკაკის „სულიკოთი“!

...დაბეჭერი, ხმაც გამეგზარა, რაღა დროს ჩემი სცენაზე გამოსვლაა, — ჭირვეულობდა თურმე ქალბატონი თამარი, მაგრამ მის თითებს, მის „ო, მარგარიტას“ ეს არ ეთქმის... ერთხელ მხოლოდ, როცა დაამღერა: „მარტო ერთი დამძლევს შავი მიწამე“... მალულად მოიწმინდა ცრემლი...

...სიტყვა რეტრო ამჟამად ძალიან მოდაშია!

...ყველაფერი, რაც ჭეშმარიტია, ხელახალი ზომებისათვის არის ნაკურთხი. ყველაფერი, რაც ხალასი და მიმზიდველია, ახლებურად აელვარდება ხოლმე ახალი თაობის ხელში, ხმაში, ფიქრში.

საუკუნის დამდეგს გაისმა იშხნელთა ხმა არქიელის გორაზე და ჩვენ ამ სიმღერების აღორძინების მოწმენი ვართ — ჩვენს წინაშე კი იდგა დადაფნული თამარ იშხნელი, ქალი, რომელიც მთელი სიცოცხლე მღერის. ეს სიმღერები ძველებურიცაა და მარადიულიც!

თამარი ბავშვობას იხსენებს დედისეული სიმღერით, რომელიც დაუწერია მისთვის და რომლითაც უსწავლებია გიტარის ანაბანა:

„ღმერთო, მიეც ჩვენს ქვეყანას
ბედი და ბედნიერება,
ღმერთო, მიეც ჩვენს
ქართველებს
სწავლა, და მეცნიერება“...

და ეს საგალობელი თითქოს კვლავ არქიელის გორიდან ეღერს.

ᲜᲐᲜᲐ ᲚᲕᲘᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲕᲘᲨᲐᲡᲗᲐᲜ

ᲡᲪᲔᲜᲐᲨᲘ Დ. ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა პრემიერა სპექტაკლისა, რომელშიც დავით კლდიაშვილის ორი პიესა ნახა მაყურებელმა. პირველ მოქმედებაში „დარისპანის გასაჭირი“, ხოლო მეორეში — „უბედურება“.

სპექტაკლი დადგეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა თ. ჩხეიძემ და ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. თოდაძემ. მხატვარია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ალექსი-მეხეშვილი, კომპოზიტორი — დ. ტორიაშვილი, ქორეოგრაფი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. ოდიკაძე.

წარმოდგენაში მონაწილეობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ტ. ხაყვარელიძე, თ. თეთრაძე, დ. ჭიკინაძე; რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. ჩხეიძე, ზ. იოსელიანი, გ. ხურცილავა, ს. გოგიჩაიშვილი, გ. სიხარულიძე; მსახიობები ა. ტყაბლაძე, მ. ბეღლავა, მ. ტატიშვილი, ა. მიქაძე, შ. მშვენიერაძე და სხვები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: სცენები სპექტაკლიდან „დარისპანის გასაჭირი“ (ზემოთ) და „უბედურება“.

მ. ᲙᲘᲠᲘᲙᲐᲫᲔᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ფიზიკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელები მონაწილეობენ საკავშირო თათბირ-სემინარში, რომელიც 25 იანვარს დაიწყო მოსკოვში. მოხსენება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“ გააკეთა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ მ. ვ. გრაჩოვმა. განხილეს მასობრივი ფიზკულტურის საკითხები, ადგილებზე მუშაობის სრულყოფის პრობლემები.

საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ვ. თ. ბოგატიკოვი თავის გამოსვლაში შეეხო პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობას დადგენილებათა შესრულებისათვის. მასობრივი ფიზიკური კულტურის განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებს მიეძღვნა სკკპ პენზის საოლქო კომიტეტის მდივნის გ. ვ. მიასნიკოვის გამოსვლა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე პ. კ. ლუჩინსკი, სსრ კავშირის განათლების მინისტრი მ. ა. პროკოფიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები. (საკდენი).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲮᲚᲐ, როცა ჩვენი გუნდები სსრ კავშირის წლეულდელი საფეხბურთო ჩემპიონატისათვის ემზადებიან, ევროპის სხვა ქვეყნებში 1982-83 წლების ეროვნული ჩემპიონატები შუა სტადიაშია. მაგალითად, ინგლისში ქვეყნის პირველობას 53 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს „ლივერპული“, ესპანეთში დაწინაურდა მადრიდის „რეალი“ (30 ქულა), ჰოლანდიაში ქვეყნის პირველობას ლიდერობენ „აიაქსი“ და „ფეიენორორდი“ (30-30), შოტლანდიაში პირველ ადგილზეა გლაზგოს „სელტიკი“ (34), იტალიაში გათამაშების ცხრილის სათავეშია „რომა“ (25), გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლიდერობს „ჰამბურგი“ (28), საბერძნეთში — „ოლიმპიაკოსი“ (21 ქულა).

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲨᲘ გამოცხადდა, რომ შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები, რომელიც მოემზადება 1984 წლის ოლიმპიადისა და ბალეტის ფესტივალზე. ამ ორგანიზაციის ბრეზიდენტად კვლავ ეულიტე კოუტინიო აირჩიეს. მისი რწმუნებანი ძალაში იქნება 1986 წლის 17 იანვრამდე. კოუტინიოს თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია, რომ ბრაზილიამ 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის უფლება მიიღოს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ. საბჭოთა კავშირში ტურნე აშშ-ს ნაკრებმა კიევში ჩვენი ქვეყნის ნაკრებთან შეხვედრით დაიწყო. საბჭოთა ათლეტებმა ეს მატჩი მოიგეს ანგარიშით 9:1. ახლა ამერიკელი მოჭიდაველები თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში (28-30 იანვარი) იასპარეზებენ, შემდეგ კი მინსკში (2 თებერვალს) და ლენინგრადში (4 თებერვალს) გამართავენ სამატჩო შეხვედრებს.

ᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ბაკურიანში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი. გუშინ სლალომელმა რაისა სმეტანინამ გაიმარჯვა 10 კილომეტრზე რბოლაში — 31 წუთი და 51 წამი. შეგახსენებთ, რომ ორი დღით ადრე მან 5 კილომეტრზე რბოლაც მოიგო.

რედაქტორი
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ა. ნ. ინაურს დედის

ᲡᲝᲤᲘᲝ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲘᲜᲐᲣᲠᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

ᲥᲕᲠᲜᲐᲚᲘ—ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲗ

ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘ შეუცვლია ჩვენს „ნიანგს“, აქაოდა წლეულს 60 წლისა ვხდებიო, რაღა დროს ჩემი „სიმრატეაო“, სისქეში მოუმატია, თორმეტ გვერდზე გამოსულა.

პირველ ნომერში ჟურნალის გაზრდას მიესალმება ყოფილი ნიანგელი აფრასიონ კინწურაშვილი, იგივე პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე; გამოჩნდა რუბრიკა „ახალი სახელები“, რომელიც გვაცნობს ახალგაზრდა იუმორისტსა და კარიკატურისტს ვასილ ბედოშვილს. რახან სისქეში გაზრდილა, სუსხიც მომატებია „ნიანგს“, უამრავი კარიკატურა, ფელეტონი და იუმორესკა დაუტეია, მეტი ასპარეზი გასჩენია ყველა მუქთახორასთან და ბიუროკრატთან, მექრთამესთან და ხულიგანთან... საბრძოლველად.

ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲓᲐᲜ

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ფოსტის მუშაკებისათვის უცხოეთიდან გამოგზავნილი წერილების მიმართულების მიცემა ადვილი არ იყო, მაგრამ ეს კონვერტი მაინც განსხვავებული აღმოჩრდა. იტალიურ ენაზე დაწერილ ტექსტთან ერთად, კონვერტზე ოდნავ დამახინჯებული ქართული ასოებით ეწერა: „საკ. სსრ (თბილისი) — ტყიბული, მაიაკოვსკი 7, გივი პეტრე გიკიაშვილი“. მერე მხარეზე აღნიშნული იყო გამოგზავნის მისამართი, ქართული ასოებითაც ეწერა: ნელო მარჩელი ინკორონ...

ასე იყო თუ ისე, ეს წერილი როგორც იქნა მიიღო ადრესატმა ქ. ტყიბულში, მაიაკოვსკის ქუჩის № 7 სახლში მცხოვრებმა გივი პეტრეს ძე მიქიაშვილმა. მასში აღმოჩნდა საახალ